9235

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთშაბათი, 18 დეკემბერი, 1941 წ. № 299 (6804). ფასი 15 კაპ.

კიდევ ერთი სახელოვანი გამარჯვება

ქალაქი კალინინი განთავისუფლებულია წითელი არმიის გმირული ნაწილების მიერ. მოპოვებულია კიდევ ერთი სახელოვანი გამარჯვება მტერზე. კვლავ სასიხარულო დღეა მთელი საბჭოთა ხალხისათვის, ყველა ხალხისათვის, რომლებიც შეურიგებელ ბრძოლას ეწევიან ყაჩაღური ჰიტლერული იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

ასრულებენ რა წითელი არმიისა და მთელი საბჭოთა ხალხის ბელადის დიდი სტალინის სტრატეგიულ განზრახვებს, კალინინის ფრონტის მამაცმა ჯარებმა კიდევ ერთი შემმუსვრელი დარტყმა აგემეს მტრის ჯარებს.

გაფთრებული ბრძოლების შემდეგ კალინინის ფრონტის ჯარებმა ა. წ. 16 დეკემბერს დაიკავეს ქალაქი კალინინი.

კალინინის ფრონტის ჯარები გენერალ-პოლკოვნიკის ამხ. კონევის მეთაურობით თავდადებით იბრძოდნენ. ქალაქ კალინინის რაიონში წარმოებულ ბრძოლებში ჩვენმა ჯარებმა დიდი დამარცხება აგემეს გენერალ შტრაუსის მე-9 გერმანელთა არმიას,— გაანადგურეს ექვსი ქვეითი დივიზია, რომლებიც ამ არმიის შემადგენლობა- [illegible]

... ფთრებული ბრძოლები ყოველი მტკაველი მიწისათვის, შემდეგ ყოველი ქუჩისათვის ქალაქში. ჩვენს ქვეყანას ახსოვს მრავალი დღის ბრძოლები, რაც სწარმოებდა ელევატორთან, რომელიც გერმანელებმა სიმაგრედ გადააქციეს. წითელი არმიის ნაწილებთან ერთად გმირულად იბრძოდნენ სახალხო ლაშქრის მებრძოლნი. მუშებმა ხელში აიღეს შაშხანები და გრანატები და ურტყამდნენ მტერს. ქალაქის ინტელიგენცია მუშებთან ერთად იბრძოდა ერთ რიგებში.

ფაშისტური პრესა ვრცლად ლაპარაკობდა იმაზე, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს კალინინის დაპყრობას მოსკოვზე თავდასხმისათვის, ლენინგრადის დაკავებისათვის. ხანმოკლე იყო ყაჩაღთა ხროვის ეს ზეიმი! საბჭოთა სარდლობის ღრმა სტრატეგიული გეგმა ამზადებდა კალინინში მოკალათებული ფაშისტი გენერლის შტრაუსის მთელი არმიის განადგურებას. ეს განზრახვა ბრწყინვალედ შეასრულეს კალინინის ფრონტის ჯარებმა.

ქალაქი კალინინი განთავისუფლებულია. მის მამაც დამცველთ, მის გუ- [illegible]

[illegible]

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

17 დეკემბრის დილის ცნობა

16 დეკემბრის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს მტერთან ყველა ფრონტზე.

* * *

დასავლეთის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე მოქმედმა ჩვენი ჯარის ნაწილმა ერთი დღის საბრძოლო მოქმედების შედეგად ხელთ იგდო გერმანელთა 14 ქვემეხი, 24 ავტომანქანა, 58 ყუთი ყუმბარა, 6 ნაღმსატყორცნი, 6 [illegible] და [illegible]

[illegible]

... ფიქრობენ, რომ რაც შეიძლება მალე დაბრუნდნენ შინ". ტყვემ მაიერ მარიომ განაცხადა: „უკანასკნელ ხანს გახშირდა თავის დაჭრის შემთხვევები. ჯარისკაცები ხელს ან ფეხს იხვრეტენ, რათა შინ, იტალიაში წავიდნენ". ტყვემ ანტონიო ვანეტიმ დაკითხვისას აჩვენა: „მე-3 პოლკის მე-5 ასეულიდან რამდენიმე ჯარისკაცი გაიპარა. ჯარისკაცმა გარბელმა ხელი გაიხვრიტა. როცა ოფიცრები ჯარისკაცებს [illegible]

[illegible]

ბით, გერმანელ დამპყრობთა სრული განადგურების მტკიცე რწმენით გამსჭვალულნი — წინ, ამხანაგო მებრძოლებო! წინ,—ურტყით მტერს და საბოლოოდ მოსპეთ იგი!

სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს!

„პრავდის" მოწინავე, 17/XII.

... დარტყმითვე უპასუხებდნენ. კალინინის ფრონტის ჯარებმა მტერს უდიდესი ზარალი მიაყენეს.

გერმანელებმა კალინინის წინააღმდეგ დიდი ძალები გამოიყვანეს. ეს ძალები მაინც საკმარისი არ იყო, რომ წითელი არმიის ნაწილების წინააღმდეგობა გაეტეხათ. სწარმოებდა გაა-

არგენტინაში მცხოვრებ სლავთა კონფერენციის მისალმება ამხანაგ სტალინისა და წითელი არმიისადმი

ამხანაგ სტალინის სახელზე ბუენოს-აირესიდან, არგენტინაში მცხოვრებ სლავთა კონფერენციისაგან მიღებულია შემდეგი დეპეშა:

არგენტინის გაერთიანებულ სლავთა კონფერენცია, ფაშიზმზე გამარჯვებაში სავსებით დარწმუნებული, სალამს უძღვნის სტალინსა და გმირ წითელ არმიას.

ჩვენი ჯარების ნადავლი ქალაქ კალინინის აღებისას

ქალაქ კალინინის აღებისას, წინასწარი და არასრული ცნობებით, კალინინის ფრონტის ჯარებმა გერმანელებისაგან ხელთ იგდეს შემდეგი ნადავლი: სხვადასხვა ყალიბის 190 ქვემეხი, აქედან 4 მძიმე 12-დიუმიანი ქვემეხი, 31 ტანკი, 9 თვითმფრინავი, ათასამდე ავტომანქანა, 160 ნაღმსატყორცნი, 303 ტყვიამფრქვევი, 292 ავტომატი, 1.300 ველოსიპედი, 47 მოტოციკლი, 4.500 შაშხანა, 21.000 ყუმბარა, 12.500 ნაღმი, 500 ათასზე მეტი ვაზნა, 18 რადიოსადგური, 4 საბრძოლო დროშა. გარდა ამისა, ხელთ ვიგდეთ საომარი მასალების 2 საწყობი, ტანსაცმლის საწყობი, საზიდარები, კაბელი და დიდძალი სხვა სამხედრო ქონება.

ნადავლის დათვლა გრძელდება. კალინინის რაიონში წარმოებულ ბრძოლებში გერმანელებმა მარტო მოკლულთა სახით 10.000-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი დასტოვეს.

საბჭოთა საინფორმაციო ბიურო.

თბილისი

გაზ. „კომუნისტისა" და „ზარია ვოსტოკას" რედაქციებს.

ორდენოსანი საქართველოს მშრომელებს

ჩვენი მგზნებარე წითელარმიული სალამი ორდენოსანი საქართველოს მშრომელებს ჯავშნიანი მატარებლის პირადი შემადგენლობისაგან, რომელიც ჩვენი სამშობლოს გულს — მოსკოვს იცავს.

ჩვენი ჯავშნიანი მატარებელი დიდი სამამულო ომის პირველივე დღეებიდან მონაწილეობს ჰიტლერელთა გამხეცებულ ურდოებთან ბრძოლებში. სახმელეთო ჯავშნოსნის ცეცხლი არაერთხელ დასტეხია მტერს, გაუნადგურებია მისი ტექნიკა და ცოცხალი ძალა. მტრის სვავებმა ბევრჯერ სცადეს მოესპოთ ჯავშნიანი მატარებელი, აყრიდნენ მას ათეულ ტონობით ბომბებს, მაგრამ ამაოდ. ჩვენი ლამაზი ჯავშნიანი მატარებელი დღესაც ანადგურებს ჰიტლერელთა ურდოებს. გერმანიის ფაშიზმთან ბრძოლებში გამოიჭედნენ ახალი საბჭოთა მებრძოლები და მეთაურები, რომლებმაც სიმამაცე და ვაჟკაცობა გამოიჩინეს. მეზენიტე — უმცროსი მეთაური კ. ა. გაბუნია უშიშრად იგერიებდა მტრის ბომბდამშენთა თავდასხმებს. ქვემეხის მემიზნე გ. ხ. ქოქოშვილი მარჯვე ცეცხლით სპობდა მტრის ტანკებს, და როდესაც დაიჭრა, არ დაუტოვებია თავისი პოსტი. დაზვერვის უფროსი — ლეიტენანტი ბალდოევი თავისი ჯავშნიანი დრეზინით გაბედულად შედიოდა მტრის ჯარების განლაგებაში და ზვერავდა მის საცეცხლე წერტებს.

ჯავშნიანი მატარებლის საუკეთესო ადამიანები შევიდნენ საკ. კ. პ. (ბ) რიგებში. ჩვენ ყველანი, რომლებიც აღგვზარდა საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ და წლების განმავლობაში მისმა ხელმძღვანელმა, დიდი სტალინის თანამებრძოლმა ლ. პ. ბერიამ, მზად ვართ გავწყდეთ, მაგრამ არ შემოვუშვათ მტერი ჩვენს მშობლიურ მოსკოვში.

თქვენ, მზიური საქართველოს მშრომელებს, დაკისრებული გაქვთ საპატიო ამოცანა — უზრუნველჰყოთ ფრონტი ყველაფრით, რაც მას ესაჭიროება. ჩვენ არა ერთხელ წაგვიკითხავს გაზეთებში თქვენი თავდადებული შრომის შესახებ თბილისის, ბათუმის, ქუთაისის ქარხნებსა და ფაბრიკებში, აჭარის ჩაისა და მანდარინის პლანტაციებში, აფხაზეთის თამბაქოს პლანტაციებში. ზურგი და ფრონტი ერთიანი სამხედრო ბანაკია. ჩვენ, ჯავშნიანი მატარებლის მებრძოლები, მეთაურები, და პოლიტმუშაკები, ფიცსა ვდებთ — მთელი ჩვენი ძალები მოვახმაროთ და, თუ საჭირო იქნება, სიცოცხლეც შევწიროთ იმას, რომ შევასრულოთ დიდი სტალინის მითითება უკლებლივ ყველა გერმანელის მოსპობის შესახებ, რომლებიც ჩვენი სამშობლოს ტერიტორიაზე შემოიჭრნენ როგორც ოკუპანტები. ყველაფერი ფრონტისათვის, ყველაფერი პირისპირ მტერზე გამარჯვებისათვის. შორს არ არის ის დღე, როდესაც ჩვენ გამარჯვებულნი დავბრუნდებით თქვენთან.

გაუმარჯოს საქართველოს მშრომელ ხალხს!

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის დიად პარტიას!

გაუმარჯოს გმირულ წითელ არმიას, რომელიც ანადგურებს ჰიტლერელთა მძარცველურ არმიას!

ჯავშნიანი მატარებლის პირადი შემადგენლობის დავალებით:

ჯავშნიანი მატარებლის მეთაური კაპიტანი ჯახიევი.
სამხედრო კომისარი პოლიუსუკი
პარტბიუროს პასუხისმგებელი მდივანი ხმირნოვი
კომკავშირის ბიუროს პასუხისმგებელი მდივანი ქადეიშვილი.

1941 წლის 12 დეკემბერი.

კლინის კვანძის ლიკვიდაცია

დეკემბრის დამდეგს გერმანელებმა, რომლებიც დმიტროვითა და ზაგორსკით გადამწყვეტ დარტყმას ამზადებდნენ მოსკოვზე, თავი მოუყარეს დიდ ძალებს კლინის მიმართულებით. მტერი ჩრდილოეთიდან ღრმა შემოვლის საფრთხეს ჰქმნიდა. აქვე კლინის მიმართულებისაკენ გერმანელებმა თავი მოუყარეს თავიანთ მეორე ეშელონებს, უმთავრესად ტანკებს. როგაჩევოსა და იახრომას დაკავების შემდეგ მტერმა ზოგან გადმოლახა მოსკოვ-ვოლგის არხი.

ჩვენი ჯარები განუწყვეტლივ უწევდნენ მედგარ წინააღმდეგობას, მაგრამ გერმანელებს ერთობ დიდი ძალები ჰყავდათ. ჩვენ მხოლოდ 3 დეკემბერს მოვახერხეთ მოგვესპო გერმანელები, რომლებიც მოსკოვ-ვოლგის არხის აღმოსავლეთ ნაპირზე შემოიჭრნენ, და მტკიცედ გავმაგრებულიყავით არხის ზღუდეებზე. მაგრამ მეტად რთული ვითარება იქმნებოდა. გერმანელებს ჯერ კიდევ ჰქონდათ ჩრდილოეთიდან მოსკოვზე შემოტევისა და ჩრდილო-აღმოსავლეთიდან მისი შემდგომი შემოვლის ხელსაყრელი პირობები. გარღვევის განსაკუთრებით რეალური საფრთხე მოელოდა ჯარებს, რომლებიც ჩვენს პოზიციებს იცავდნენ მოსკოვის ჩრდილოეთ მისადგომებზე.

ამიტომ ჩვენს წინაშე დასახული იყო ამოცანა—გადაგველახა არხი და მდინარე იახრომა, ხელთ გვეგდო მტრის დიდი, კარგად გამაგრებული ბუდე როგაჩევოში და, ამრიგად შეგვექმნა კლინზე ჩვენი შემდგომი შეტევის პირობები. ჩვენ დასახული გვქონდა ნათელი მიზანი: უნდა მოგვესპო მტრის ცოცხალი ძალა და ტექნიკა როგაჩევო-კლინის რაიონში და ამრიგად გაგვენადგურებინა ეგრეთწოდებული კლინის კვანძი (ან, როგორც ზოგიერთნი მას უწოდებენ, კლინის პლაცდარმი), რომელიც გერმანელებმა მოსკოვზე შემოტევისათვის შექმნეს.

ჩვენმა ნაწილებმა არხი გადალახეს და შეტევისათვის თავდაპირველი მდგომარეობა დაიკავეს. სწორედ დანიშნულ ვადაზე—6 დეკემბერს—საარტილერიო სროლის აუტეხავად, ჩვენი ჯარები გადამწყვეტ შეტევაზე გადავიდნენ. შეტევა გერმანელებისათვის სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა. მდინარე იახრომას დასავლეთით მტერს რამდენიმე დასაყრდენი პუნქტი ჰქონდა, რომელიც საინჟინერო და საცეცხლე მხრივ თავდაცვისათვის კარგად მომზადებული იყო. გერმანელთა წინააღმდეგობის დაძლევა იოლი საქმე როდი იყო.

განსაკუთრებით გააფთრებული ბრძოლა გაჩაღდა სოფელ ალექსანდროვკის, ვასილიევოს, ბუნიატინოსა და პოდვიაზნოვოს ტერიტორიაზე. მტერი, რომელიც ტექნიკის (უმთავრესად ტანკების) უპირატესობითა და ადგილმდებარეობის ხელსაყრელი პირობებით სარგებლობდა შეუპოვარ წინააღმდეგობას გვიწევდა. იგი ყოველნაირად ცდილობდა შეენარჩუნებინა პოზიციები როგაჩევოს რაიონში. 3 დღის განმავლობაში სისხლისმღვრელი ბრძოლა სწარმოებდა. ბევრი დასახლებული პუნქტი რამდენჯერმე გადადიოდა ხელიდან ხელში.

მძიმე პირობებში მოუხდათ მოქმედება გენერალ-მაიორ ივანოვის ნაწილებს, რომლებიც გაშლილი და თხელი ყინულით დაფარული ჭაობიანი ადგილით უტევდნენ. ამ ნაწილების მებრძოლები გმირულად ებრძოდნენ მტერს, განუწყვეტლივ იწევდნენ წინ და, გერმანელთა ძლიერი ცეცხლითი წინააღმდეგობის მიუხედავად, თავიანთი გულადობითა და მამაცობით გამარჯვებას აღწევდნენ. ჩვენი არტილერისტები, განსაკუთრებით მეთაურ კუბიშევის ნაწილი მძლავრი ცეცხლით ერეკებოდნენ გერმანელებს მათ მიერ დაკავებული სოფლებიდან.

დაძაბული ბრძოლის შემდეგ, ჩვენ როგაჩევოს მივადექით, შეტევას განვაგრძობდით, ვძლევდით მტრის წინააღმდეგობას, ვარღვევდით მის თავდაცვის ხაზს. ჩვენ სასტიკი ბრძოლა მოგვიხდა ყოველი უბნისათვის, ყოველი სახლისათვის. ბოლოს, მტერი უკუვაქციეთ და როგაჩევო ავიღეთ.

გერმანელებისათვის როგაჩევო მთავარი დასაყრდენი პუნქტი იყო. მტერს აქ ჰქონდა თავდაცვის გარეთა ხაზი, რომელიც შესდგებოდა მთელი რიგი „წინააღმდეგობის კვანძებისაგან" განაპირა უბნებში, და შიდა ხაზი ცენტრში. გერმანელები ფართოდ იყენებდნენ ღობურებს, გზების დანაღმვას, მოაწყეს ეკლიანი მავთულის მრავალიარუსიანი რიგები, ჯერგები, ერთი სიტყვით, აქ ნახავდით თავდაცვითი ხასიათის ყველა საინჟინრო ნაგებობას, მათ შორის ძელ-მიწურ საცეცხლე წერტებსაც. მტერი გააფთრებულ წინააღმდეგობას გვიწევდა, რადგან იცოდა; როგაჩევოს დაცემა გადასწყვეტდა კლინის ბედსაც, რომელსაც გენერალ კუზნეცოვის ნაწილები უკვე უახლოვდებოდნენ. ჩვენმა წარმატებამ დააგვირგვინა კლინში მტრის მთელი ძალების გარემოცვა. როგორც უკვე აღვნიშნავდით, ჩვენმა ჯარებმა გაბედული და მტკიცე მოქმედებით გარეკეს მტერი როგაჩევოდან, და ჩვენ გზა გავიკაფეთ ქალაქ კლინისაკენ. ისეთი ძლიერ გამაგრებული პუნქტის აღებამ, როგორიც როგაჩევო იყო, გერმანელებთან ბრძოლის კიდევ უფრო მეტი გამოცდილება შესძინა ჩვენს ნაწილებს. ჩვენი ძალები კლინისაკენ დაეძარით.

გენერლების — ლელიუშენკოსა და კუზნეცოვის ჯარებმა ქალაქს ალყა შემოარტყეს. მტერი ცდილობდა, რადაც უნდა დასჯდომოდა, გაერღვია რკალი, რომელიც სულ უფრო ვიწროვდებოდა, განსაკუთრებით უკანასკნელ ორ დღეს. გერმანელებს კონტრიერიშზე გამოჰყავდათ თავიანთი სატანკო ძალები, მაგრამ ყველგან აწყდებოდნენ ჩვენს საარტილერიო ცეცხლს. გენერალ ფიურსტის მე-14 მოტოქვეითი დივიზიის, გენერალ ფონ-ვერკშტერნის 36-ე მოტოქვეითი დივიზიის, მე-7 სატანკო დივიზიისა და პოლკოვნიკ კრაუზეს მე-900 სასწავლო ბრიგადის მდგომარეობა უფრო-და-უფრო კრიტიკული ხდებოდა. მტერს სულ უფრო-და-უფრო ნაკლები საწვავი რჩებოდა. იფუშებოდა გერმანელთა ყოველივე ცდა—გამოსულიყვნენ გზაზე. მეთაურ როტმისტროვის ტანკისტები მტრის წინააღმდეგობის კვანძს ეძალებოდნენ და კლინიდან უკანდასახევ გზებს უჭრიდნენ მას.

ამავე დროს კლინთან თანდათანობით უყრიდნენ თავს გერმანელთა ნაწილებს მომიჯნავე სოფლებიდან, რომლებსაც ჩვენი ჯარები იკავებდნენ. კლინი იმ მნიშვნელოვან კვანძად იქცეოდა, რომლის დაკარგვითაც გერმანელებს ხელიდან ეცლებოდათ თბილი ბინები, მარჯვე პოზიციები. და მტერი თავგანწირულად იცავდა თავს. მტერმა მაღლობი 220 დაიკავა და გრიგალისებრი საარტილერიო ცეცხლი გააჩაღა იქიდან. როგორც ჩანს, ამით სურდა შეეჩერებინა ჩვენი წინსვლა. ჩვენმა მებრძოლებმა ეს ცეცხლის ზღუდე გაარღვიეს. ჩვენი ავიაცია განუწყვეტლივ ბომბავდა მტრის კომუნიკაციებს, სპობდა საშველად მიმავალ რეზერვებს, აჩუმებდა საცეცხლე წერტებს.

5 დღისა და 5 ღამეს სწარმოებდა გააფთრებული ბრძოლები კლინის გარშემო. გერმანელები უკვე გარშემორტყმულნი იყვნენ ჩვენი ჯარების მიერ ჩრდილოეთიდან, ჩრდილო-აღმოსავლეთიდან, აღმოსავლეთიდან, სამხრეთ-დასავლეთიდან და ჩრდილო-დასავლეთიდან. ამ ოპერაციაში მონაწილეობას იღებდნენ ქვეითები, კავალერისტები, ტანკისტები, არტილერისტები და მფრინავები. გერმანელები 15 დეკემბრამდე ცდილობდნენ ცოცხალი ძალა მაინც გადაერჩინათ, გზა გაეკაფათ მისთვის უკანდასახევად. მაგრამ, ამის მიუხედავად, მტერმა აქ 13 ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგა მოკლულთა და დაჭრილთა სახით. 14 დეკემბერს ღამით ლიუხტიკოვისა და ჩერნიშევის ნაწილები ქალაქში შეიჭრნენ და დაიკავეს იგი; ისინი სპობდნენ გერმანელ ჯარისკაცებს, რომელნიც თავზარდაცემულნი უკან იხევდნენ.

მტერი სტოვებდა ტანკებს, ავტომობილებს, ქვემეხებს, მთელ თავის ტექნიკას, რაკი აღარ შეეძლო მისი გაზიდვა. გერმანელები უკან იხევდნენ ვოლოკოლამსკის გზატკეცილით; ჩვენმა ჯარებმა 15 და 16 დეკემბრის განმავლობაში სდიეს მას.

ცხენოსანი ჯარი ზურგში მოექცა გერმანელებს და სპობდა მათ უკანდახევის გზაზე. კლინიდან ვოლოკოლამსკისაკენ მიმავალი გზა მოფენილია გერმანელთა გვამებით, ტანკებით, ქვემეხებით, ავტომობილებით, დიდძალი სამხედრო ქონებით, რომელიც ჩვენ ახლა მოგვყავს წესრიგზე და ვთვლით.

ჩვენ კიდევ დიდი და რთული ამოცანა გვაქვს შესასრულებელი. სრულიად უნდა მოვსპოთ გერმანელი ოკუპანტები, რომელნიც მოსკოვს ჩრდილოეთიდან ემუქრებოდნენ და ცდილობდნენ დაეკავებინათ ეს დიდი და მშვენიერი ქალაქი.

იმ ოპერაციებმა, რომლებსაც ამჟამად ვახორციელებთ, უნდა გადასწყვიტოს ეს ამოცანა ჩვენს უბანზე. ჯარს დიდი აღფრთოვანება ეუფლება, შეტევითი სულისკვეთება ყოველ საათს მატულობს; ჩვენი მებრძოლნი მიისწრაფვიან ბრძოლაში, და ისინი კიდევ არაერთხელ აგემებენ ძლიერ დარტყმას გერმანელთა დივიზიებს, რომლებიც ახლა ვოლოკოლამსკისაკენ იხევენ.

კლინის აღება და იქ თავმოყრილი გერმანელთა ძალების განადგურება ამავე დროს იმას ნიშნავს, რომ სავსებით ლიკვიდირებულია კლინის კვანძი, რომელიც აქამდე ეკავათ გერმანელებს ლენინგრადის გზატკეცილზე. ახლა გერმანელებმა ეს გზატკეცილი დასტოვეს, ხოლო ჩვენი ნაწილები სულ უფრო-და-უფრო შორს მიერეკებიან მათ დასავლეთისაკენ.

არტილერიის გენერალ-მაიორი
ზ. ხეთაგუროვი.

დასავლეთის ფრონტი, 16 დეკემბერი.
(17 დეკემბრის „პრავდა").

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს
საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს

კარელია-ფინეთის სსრ კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი, კარელია-ფინეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სახალხო კომისართა საბჭო მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად სწუხან და ღრმა თანაგრძნობას გიცხადებენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ფილიპე ესეს ძე მახარაძის უდროოდ გარდაცვალების გამო.

დიადი საბჭოთა სახელმწიფო, რომლის გამოჩენილ მშენებელთა რიცხვს ეკუთვნოდა ამხანაგი ფ. ე. მახარაძე, შეურყევლად დგას და იდგმება თავის საფუძვლებზე. სამამულო ომის მრისხანე დღეებში მთელი ძლიერი საბჭოთა ხალხი კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმება სახელოვანი ბოლშევიკური პარტიის გარშემო, დიდი ბელადისა და მხედართმთავრის ამხანაგ სტალინის გარშემო იმპერიალისტი მტრების სრული განადგურებისათვის საბრძოლველად, რომლებიც თავს დაესხნენ საბჭოთა სახელმწიფოს.

კარელია-ფინეთის სსრ კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ხოროკინი.
კარელია-ფინეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კუუსინენი.
კარელია-ფინეთის სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
ისაკოვი.

დიდი სამამულო ომის ფრონტებზე

როგორ დავიკავეთ ქალაქი კალინინი

(„პრავდის“ სპეციალური სამხ. ედრო. კორესპონდენტისაგან)

გერმანელებმა ფრონტის ამ უბანზე კალინინთან დიდ ძალებს მოუყარეს თავი. აქ მარტო გენერალ იუშკევიჩის ჯარების წინააღმდეგ გამოყვანილი იყო მტრის 86-ე, 110-ე, 129-ე და 162-ე ქვეითი დივიზიების ნაწილები. მათ აქ საფუძვლიანად მოიკალათეს, გაიკეთეს რამდენიმე ძლიერი გამაგრებული ხაზი, სადაც ბლომად მოიპოვებოდათ არტილერია და ნაღმსატყორცნები. მათ მთელი სოფლები აჰყარეს და კოლმეურნეთა სახლებქვეშ მოაწყეს ძელ-მიწური საცეცხლე წერტები, ხოლო თვით სახლებში 4-სართულიანი ტახტები გაიკეთეს; როგორც ჩანს ისინი აქ აპირებდნენ გამოზამთრებას.

ჩვენმა ნაწილებმა გერმანელთა სიმაგრეების ხაზი გაარღვიეს. ისინი სანგრებიდან და ბლინდაჟებიდან ერეკებოდნენ მტერს სასტიკი ბრძოლით, რაც ხშტით იეროშით და ხელჩართულ შეტაკებად გადაიქცეოდა ხოლმე, და სოფელს სოფელზე იღებდნენ. მებრძოლებმა [illegible]

[illegible]

ლის რამდენიმე წუთის შემდეგ. მას მთელი სხეული ბინდებით ჰქონდა შეხვეული, საკაცეზე იწვა, მაგრამ კვლავ ბრძოლით ცხოვრობდა და პირველი, რაც მან იკითხა, ეს იყო:

— გავრეკეთ ქვეწარმავალნი? ხომ მარჯვეთ იყვნენ ჩემი მეავტომატენი? არწივი ბიჭები არიან!

ამ დაძაბულ ბრძოლაში გენერალ იუშკევიჩის ნაწილებმა გაანადგურეს გერმანელთა 86-ე, 129-ე და 162-ე დივიზიები და ძალზე შებერტყეს 110-ე დივიზია და 35-ზე მეტი დასახლებული პუნქტი გაათავისუფლეს. სანამ გერმანელები გონს მოეგებოდნენ, გენერალ იუშკევიჩის ჯარებმა და გენერალ მასლენიკოვის ნაწილებმა ქალაქ კალინინს დაჰკრეს.

* * *

და აი დღეს, შუადღისას, ხანმოკლე და ენერგიული საარტილერიო სროლის შემდეგ, გენერალ კონევის ჯარებმა მტრის მძლავრი თავდაცვა გაარღვიეს და რამდენიმე კოლონად [illegible]

საც განვიცდით და მწუხარებასაც. გვიხარია, რომ ქალაქი ბინძურ მტერს ხელიდან გამოვგლიჯეთ. გული გვტკივა, როცა ვხედავთ, თუ როგორ დაუნგრევიათ და შეუბილწავთ გერმანელ ბანდიტებს ორი თვის თარეშის დროს ის, რაც ესოდენი შრომით და ესოდენი სიყვარულით იქმნებოდა მთელი წლობით.

ჩვენ ბაღის გვერდით მივდივართ. გერმანელებს იგი თითქმის მთლად გაუჩეხიათ შეშად. შუა ბაღში პუშკინის ძეგლის ნამტვრევები აწყვია. გერმანელებს ეს ძეგლი გრანატებით, სატყორცნ სამიზნედ გაუხდიათ გადაბუგული ბიბლიოთეკის შენობიდან ქუჩას გადმოჰყურებს ჩალეწილი, ჩაბნელებული ფანჯრები. დანგრეულია თეატრი, რომლითაც კალინინელები ასე ამაყობდნენ. ქუჩებს შავი კვამლი ეფინება: ჯერ კიდევ იწვის პურის ქარხანა, აბანო და ახალი სახლები ჩაიკოვსკის პროსპექტზე.

კალინინიდან გაქცევისას, გერმანელებმა უეჭველად დასტოვეს დიდი საწყობები საომარი [illegible]

[illegible]

ტყვილს, თავის მებრძოლებს ჰპირდებოდა, უმალავდა და წოლილა განაგრძობდა ბრძოლის ხელმძღვანელობას ისე, რომ ავტომატი ხელიდან არ გაუშვია. მან სამედიცინო პუნქტში თავი მხოლოდ მაშინ წააყვანინა, როცა მეავტომატეებს ჩვენი ქვეითი ჯარი მიეშველა და მტრის გამაგრებული კვანძი ავიღეთ. კუზნეცოვი ჩვენ ვინახულეთ ბრძო-

ჩვენ ხელოხელ მივდივართ ქუჩებში, გვერდს ვუვლით ბომბებით ამოთხრილ ძაბრებს, ყუმბარების ნამსხვრევებით მოჭრილ ტელეგრაფის ბოძებს და გერმანელ ჯარისკაცთა გვამებს, რომლებიც გროვებად და ცალ-ცალკე ჰყრია მებოძირებზე, სადაც ახლახან ბრძოლა სწარმოებდა. ჩვენ ქალაქში დავდივართ და ერთსა და იმავე დროს სიხარულ-

მართავენ, მესანგრენი ქუჩებს სწმენდენ.

ქარი წითელ დროშას აფრიალებს. ორი თვის საშინელი კოშმარის შემდეგ კალინინში ხელახლა იწყება ცხოვრება.

ბ. პოლევოი.

ქალაქი კალინინი, 16 დეკემბერი.

(„პრავდა“, 17 დეკემბერი).

ფაშისტთა ჯარების დიდი დანაკლისი

სამხრეთ-დასავლეთის ფრონტი, 16 დეკემბერი („პრავდის“ სპეც. სამხედრო კორესპონდენტისაგან). ელეც-ლივნის და ეფრემოვის უბნებზე ჩვენი ჯარის ნაწილები კვლავ სდევნიან მტერს. გუშინ წითელი არმიის ნაწილებმა 41 დასახლებული პუნქტი გაათავისუფლეს გერმანელ დამპყრობთაგან.

ამხანაგ გოროდნიანსკის ნაწილები სწრაფად მიიწევენ წინ. მათ დღის განმავლობაში 70 დასახლებული პუნქტიდან გარეკეს გერმანელები, ამასთან ხელთ იგდეს დიდძალი დავლა: 25 ქვემეხი, 17 ნაღმსატყორცნი, 5 ხელის ტყვიამფრქვევი, 105 ავტომანქანა და 16 მოტოციკლი. გარდა ამისა, ამ უბანზე ჩვენმა ავიაციამ მოსპო 84 ავტომანქანა, 18 საზიდარი და 300 ჯარისკაცი. მტერთან მედგარ ბრძოლას ეწევიან ნ. დივიზიის გვარდიელები. გუშინ მათ მძლავრი დარტყმით განდევნეს გერმანელები სოფელ გ-დან. მტერმა თავისი საჭურვლის მნიშვნელოვანი ნაწილი მიატოვა და გაიქცა. ნადავლში არის 25 ქვემეხი, 6 საზენიტო ტყვიამფრქვევი, 55 ავტომანქანა და სხვა სამხედრო საჭურველი. იმ უბანზე, რომელიც სხვა ნაწილებს უკავიათ, გერმანელები კონტრშეტევაზე გადმოსვლას ცდილობენ, მაგრამ ჩვენი მებრძოლნი მტკიცედ ინარჩუნებენ მათ მიერ დაკავებულ ზღუდეებს. ბრძოლას გააფთრებული ხასიათი აქვს. 5 დღის განმავლობაში გაჟლეტილია 1.500-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. მტერს წაართვით 5 ტანკი, 2 ჯავშნიანი მანქანა, 3 ქვემეხი, 22 ნაღმსატყორცნი, 50 ტყვიამფრქვევი და 19 ავტომანქანა.

გერმანელებს დიდ ზარალს აყენებს ჩვენი მებრძოლების ღამის უეცარი თავდასხმები. ამ ნაწილის მოწინავე რაზმი, სადაც კომისრად ამხანაგი როშჩუპკინია, ღამე თავს დაესხა სოფელს ტ-ს, რომელიც გერმანელებს ეკავათ. მებრძოლებმა რამდენიმე წუთის განმავლობაში 240 ჰიტლერელი გაჟლიტეს. სოფელ ი-ში მზვერავთა ჯგუფმა ღამე 30 გერმანელი მოსპო.

გერმანელები ვერ უძლებენ ჩვენი ჯარების დარტყმებს, უკან იხევენ და ჯავრს მშვიდობიან საბჭოთა მოსახლეობაზე იყრიან. ისინი გზადაგზა ქალაქებსა და სოფლებს ანგრევენ. სოფელ ბაევკაში გერმანელებმა მთელი მოსახლეობა სკოლაში შეჰყარეს და უნდოდათ ამ სკოლის აფეთქება. ამას ჩვენმა ნაწილებმა მოუსწრეს და ხელი შეუშალეს მტარვალებს საზიზღარი ბოროტმოქმედების შესრულებაში. სოფელ ჩერნოლესკიდან გაქცევის წინ ფაშისტებმა რამდენიმე ასეული ბავშვი შეჰყარეს და დასწვეს. სოფელ კულეშოვკაში ვიპოვნეთ წითელარმიელთა გვამები, რომელთაც მოჭრილი ჰქონდათ ცხვირი, ყურები და ხელები.

შ. ჟუკოვინი

(16 დეკემბრის „პრავდა“).

მტერს კიდევ 90 დასახლებული პუნქტი წაართვით

დასავლეთის ფრონტი, 16 დეკემბერი („პრავდის“ სპეც. სამხედრო კორესპონდენტისაგან). ქალაქ კლინის დაკავების შემდეგ წითელი არმიის ნაწილები კვლავ სდევნიან და სპობენ [illegible] მოებულ ბრძოლებში 6-დან 14 დეკემბრამდე მარტო გენერალ ლელიუშენკოს ნაწილებმა ხელთ იგდეს: 152 ტანკი, 6 ტანკეტი, 28 ჯავშნიანი მანქანა, 182 ქვემეხი, 356 ტყვიამფრქვევი, 750 ავტომატი, 1.324 ავტომობილი, 350 მოტოციკლი, 35 ათასი ყუმბარა, 25 ათასი ნაღმი, 3 მილიონი [illegible] ვაზნა, 524 კილომეტრი სატელეფონო კაბელი და სხვა ქონება.

ისტრის დასავლეთით მდებარე რაიონში მტერი შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევს ჩვენს შემტევ ნაწილებს [illegible] მოჟაისკის მიმართულებით გერმანელები აწარმოებენ სერიოზულ არიერგარდულ ბრძოლას ავიაციის მნიშვნელოვანი ჯგუფების მონაწილეობით და ცდილობენ დაფარონ თავიანთი მთავარი ძალების უკანდახევა.

წარმატებით მიიწევენ წინ გენერალ ბოლდინის ნაწილები.

გუშინ დასავლეთის ფრონტის ჯარებმა 90 დასახლებული პუნქტი გაათავისუფლეს ფაშისტი დამპყრობლებისაგან. მოსკოვის სახელოვანი დამცველები განაგრძობენ შეტევას, ასრულებენ [illegible] მესდიეთ მტერს, არ მისცეთ მას შესვენების საშუალება, არ მისცეთ გონს მოსვლის საშუალება, არ მისცეთ მტერს იმის საშუალება, რომ წესრიგში მოიყვანოს თავი და მოაწყოს თავდაცვა“.

პ. ლიდოვი

(„პრავდა“, 17 დეკემბერი).

გენერალ ვლასოვის ჯარები წარმატებას ავითარებენ

სოლნეჩნოგორსკი, 15 დეკემბერი (ტელეფონით ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან). გენერალ ვლასოვის ჯარები, რომლებმაც გამანადგურებელი ლახვარი ჩასცეს ფაშისტ დამპყრობლებს და სოლნეჩნოგორსკი გაათავისუფლეს, კვლავ კვალდაკვალ მისდევენ მტრის ჯარის ნაწილებს, რომლებიც უკან იხევენ. ირკვევა, რომ იმ ნადავლის რაოდენობა, რაც ჩვენ სოლნეჩნოგორსკთან ხელთ ვიგდეთ, გაცილებით იმაზე მეტია, რაც წინათ გვეგონა. საკმარისია ითქვას, რომ ერთერთი სოფლის რაიონში გუშინ დამატებით იქნა აღმოჩენილი რამდენიმე ასეული ყოველგვარი სატრანსპორტო ავტომანქანა, რომლებიც გერმანელ ფაშისტთა ჯარებს დაუტოვებიათ.

სოლნეჩნოგორსკის დატოვების შემდეგ [illegible] მტერი ცდილობდა გამაგრებულიყო ისტრის წყალსაცავის ზღუდეზე, რომლის დასავლეთ ნაპირზე მან სიმაგრეები ააგო. გერმანელებმა წყალსაცავიდან წყალი გაუშვეს, რის გამო ყინული ჩატყდა და ჩაწვა. ამას გარდა მტერმა დანაღმა ყინულის დაბრკოლება და იმედი ჰქონდა ამით დაიფარავდა თავს ჩვენი ნაწილების დევნისაგან.

ისტრის წყალსაცავისათვის ბრძოლა განსაკუთრებით შეუპოვარი და ძნელი იყო. იგი ორ დღე-ღამეზე მეტს გრძელდებოდა. ამ ბრძოლაში ამხ. გრიცენკოს ნაწილმა ცხადჰყო გამარჯვების მტკიცე რწმენა. ქარბუქისა და ქარიშხლის მძიმე პირობებში მან სძლია მტრის შეუპოვარ წინააღმდეგობას. აქ დიდი როლი ითამაშეს მზვერავმა პარტიებმა. ისინი სინჯავდნენ დანაღმულ ადგილებში გასასვლელებს და გზებს იმისათვის, რომ ჩვენი ჯარი ყინულით მარჯვენა ნაპირზე გადასულიყო. საჭირო იყო შენიღბვის დიდი ოსტატობა, რომ შეუმჩნევლად გასულიყვნენ ყინულის დაბრკოლებაზე და ამოერჩიათ უფრო უშიშარი გზა.

ისტრის წყალსაცავზე ჩვენმა ნაწილებმა იერიში წუხელ მიიტანეს. გრიცენკოს ნაწილის მებრძოლები „ვაშას“ ყიჟინით ეკვეთნენ მტერს, [illegible] ამგვარად დაეცა ერთერთი მუხედრივი ზღუდე, რომელზედაც გერმანელები დიდ იმედს ამყარებდნენ. ჩვენი ჯარის ნაწილები, რომლებიც ისტრის წყალსაცავის დასავლეთ ნაპირზე შეიჭრნენ, განაგრძობდნენ მტრის დევნას და დიდ ზარალს აყენებდნენ მას.

ამის შემდეგ გერმანელები შეეცადნენ გაჩერებულიყვნენ ორი სოფლის მიჯნაზე, რომლებიც მათ წინააღმდეგობის საკმაოდ ძლიერ გამაგრებულ კვანძად გადააქციეს. ჩისტიაკოვის ნაწილის მებრძოლები სამი მხრიდან გარშემოერტყნენ ამ სოფელს. ამ ბრძოლის წარმატების საკითხი მასლენიკოვის ბატალიონმა გადასჭრა. ამ ბატალიონის ტანკები, რომელთა ჯავშანში მეავტომატე მებრძოლები ისხდნენ, პირველ სოფელში შეიჭრნენ. ტანკისტებმა ჩააჩუმეს მტრის სამი ზარბაზანი. მეავტომატეებმა გერმანიის კიდევ სამი ქვემეხის გუნდები მოსპეს. ეს ქვემეხები, რომლებიც სავსებით ვარგისი აღმოჩნდა, იქვე შემობრუნეს მტრისაკენ. დაიწყო გერმანელ ჯარისკაცთა პანიკური გაქცევა.

ჩვენმა მებრძოლებმა სწრაფი დარტყმით განდევნეს გერმანელები შემდეგი სოფლიდან, რომელიც იქვე ახლოს მდებარეობს. [illegible] მდეგობის კვანძი. მტრის ცდა გამაგრებულიყო ამ ზღუდეზე მარცხით დამთავრდა.

სოლნეჩნოგორსკის დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა გერმანელი ოკუპანტებისაგან გაათავისუფლეს 29 დასახლებული პუნქტი. მტრის დევნა და ცხარე ბრძოლა გრძელდება.

ი. მილეცკი.

გერმანელთა ბარბაროსობა იასნაია პოლიანაში

(მოსკოვი, „კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან)

როგორც 15 დეკემბერს საბჭოთა საინფორმაციო ბიურო იუწყებოდა, ჩვენი ჯარის ნაწილებმა ტულის სამხრეთით დაიკავეს იასნაია პოლიანა. ეს არის მთელი მსოფლიოსათვის ცნობილი ადგილი, სადაც ცხოვრობდა და დამარხულია დიდი რუსი მწერალი ლევ ნიკოლოზის-ძე ტოლსტოი. გერმანელებმა აქ თვენახევარი დაჰყვეს.

„სამხრეთისაკენ უკანდახევის წინ,—იუწყება „პრავდის“ სამხედრო კორესპონდენტი,—გერმანელთა დამარცხებული 296-ე დივიზიის ნაწილებმა [illegible] მწერლის საყვარელი ხიდი, რომელიც მან თავისი ხელით გააკეთა, მთლად დანგრეულია. პარკში სკამები და მესერი კოცონებად დაუწვავთ. ძველი ხეივნები ჩახერგილია უწესრიგოდ გადაკაფული ხეებით. ვაშლის მშვენიერ ბაღში, რომლითაც დიდი მწერალი მუდამ ამაყობდა, ხეხილი დამტვრეული, დასახიჩრებული და ნაჯახით გადაჭრილია. ლიტერატურული მუზეუმი განადგურებულია. ექსპონატები, რომლებსაც აქ ათეული წლების მანძილზე აგროვებდნენ, — იშვიათი ხელნაწერები, [illegible] გამოუყრიათ... წასვლის წინ გერმანელებმა გადასწყვიტეს დაეწვათ ტოლსტოის მთელი მუზეუმი. ბიბლიოთეკის ოთახში გააჩაღეს შეშის, ჩალისა და წიგნების ვეებერთელა კოცონი. მეორე კოცონი გააჩაღეს იმ ოთახში, სადაც ცხოვრობდა ლევ ნიკოლოზის-ძე. ხანძრის მესამე კერა მოაწყეს ტოლსტოის ცოლის სოფიო ანდრიას-ასულის ოთახში. ბარბაროსული გეგმის განხორციელებას ხელი შეუშალეს საბჭოთა ადამიანებმა, რომლებიც არ მოერიდნენ ტყვიამფრქვევის ცეცხლსა და დანაღმულ [illegible]

[illegible]

ვ. ქარა-ზუბაშვ

მებრძოლი პატრიოტები

ორგზის ორდენოსანი მფრინავი შალვა ჭანკოტაძე

შალვა ჭანკოტაძეს— საქართველოში ახალი საჰაერო ხაზების ერთ-ერთ პირველ მომწყობ, გულად და გამოცდილ კომუნისტ მფრინავს ბევრი იცნობს. ის არის პირველი ქართველი მფრინავი, რომელმაც საქართველოს მთელ რიგ შორეულ ადგილებში პირველად უჩვენა ხალხს თვითმფრინავი, რომელმაც პირველმა აითვისა საქართველოს საძნელო საჰაერო ტრასებზე მიმოფრენა. მისი მეთაურობით მოახდინა 1935 წლის ზამთარში პირველი საზამთრო გადმოფრენა კავკასიონის მთაგრეხილზე გაზ. „კომუნისტის“ სახელობის ესკადრილიამ.

ლენინ-სტალინის საქმის უსაზღვროდ ერთგული, უდრეკი საბჭოთა პატრიოტი საფრენოსნო საქმის ოსტატობას დაუფლებული ამხ. შ. ჭანკოტაძე ამჟამად დიადი საბჭოთა სამშობლოს [illegible] შვილი, ვანო ბერიძე, ამბერკი კაციტაძე, ალექსანდრე შორნიკოვი, ოდორე ილენკო, ვარტკეს კურკჩიანცი და მრავალი სხვა.

მთელ თავის გამოცდილებას, ცოდნასა და ოსტატობას ამხ. ჭანკოტაძე ახმარს სამამულო ომის ინტერესებს. მას მინდობილი აქვს დიდმნიშვნელოვანი ამოცანების შესრულება და იგი ამ ამოცანებს ბრწყინვალედ ასრულებს.

სამამულო ომის მრისხანე დღეებში ამხ. ჭანკოტაძეს და მის მფრინავებს არაერთი და ორი ათასი საბჭოთა პატრიოტისათვის შეუნარჩუნებიათ სიცოცხლე, არაერთი და ორი საპასუხისმგებლო გაფრენა მოუწყვიათ მტრის ზურგში, არაერთი და ორი ათეული ტონა საპასუხისმგებლო ტვირთი მიუწოდებიათ წითელი არმიის მებრძოლებისათვის.

— მე და ჩემი მფრინავები, — სწერს ამხ. შ. ჭანკოტაძე, — ყოველთვის განსაკუთრებული ხალისით ვასრულებთ სარდლობის მიერ მოცემულ საპასუხისმგებლო დავალებათა შესრულებას. დღისით და ღამით, კარგ დარსა და უამინდობაში ჩვენი თვითმფრინავები მუდამ მზად არიან მტრის წინააღმდეგ მებრძოლთა დასახმარებლად...

შალვა ჭანკოტაძე უყვართ მფრინავებს, იგი მათ წრეში აღიზარდა, დავაჟკაცდა და მათ წრეშივე იბრძვის. საუკეთესო ამხანაგი, გულისხმიერი მეთაური და ხელმძღვანელია ამხ. ჭანკოტაძე და ამიტომ არის, რომ იგი დიდი ავტორიტეტით და სიყვარულით სარგებლობს ამხანაგებში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1941 წლის 22 ოქტომბრის ბრძანებულებით გერმანიის ფაშიზმთან ბრძოლის ფრონტზე სარდლობის დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის, ამასთან გმირობისა და სიმამაცის გამოჩენისათვის ამხ. ჭანკოტაძე დაჯილდოებულია „წითელი ვარსკვლავის“ [illegible] მამის სოფელში — შუა-ჯვალითში (ზესტაფონის რაიონი) და ეწეოდა სოფლის მეურნეობას. შ. ჭანკოტაძეს მიღებული აქვს უმაღლესი საავიაციო განათლება. შემდეგ იგი მსახურობდა წითელი არმიის საჰაერო ძალთა ერთერთ ნაწილში და დაფრინავდა გამანადგურებელი თვითმფრინავით.

საქართველოში ჭანკოტაძე დაბრუნდა 1933 წელს და იმ ხნიდან მოყოლებული სამამულო ომის დაწყებამდე აქ მუშაობდა. 1936 წელს ამხ. შ. ჭანკოტაძე მთავრობამ დააჯილდოვა „საპატიო ნიშნის“ ორდენით.

ამრიგად, ამხ. შალვა ჭანკოტაძე ორგზის ორდენოსანია.

მფრინავი დავით პაპუნაშვილი

— ატლეტური გარეგნობის, ბრგე ვაჟკაცი, თავდადებული და თავაზიანი, დისციპლინირებული, გამბედავი და უშიშარი, როგორც შეჰფერის სტალინურ შევარდენს, მორალურად მტკიცე, უდრეკი პატრიოტი და საუკეთესო ამხანაგი— [illegible] ვით ალექსის-ძე პაპუნაშვილი“...

ასე სწერს ქართველ მფრინავ დავით პაპუნაშვილზე ამხ. ა. კოსტიუკოვი. პილოტები, ძველი, გამოცდილი მფრინავები, რომელთაც უფრენიათ პრიმიტიულ თვითმფრინავებზეც და ახლებურ მანქანებზეც, პაპუნაშვილს მთებში ფრენის ოსტატს ეძახიან. არცერთი ავარია, არცერთი დაბრკოლება მის თვითმფრინავს არ განუცდია წლების მანძილზე. მისთვის მინდობილი დავალება ყოველთვის საიმედო ხელში იყო, მისი თვითმფრინავის მგზავრები ყოველთვის დამშვიდებით გადაჰყურებდნენ სიმაღლიდან თვითმფრინავის ქვეშ გაშლილ ბუნებას.

სამამულო ომის დაწყებისთანავე პაპუნაშვილი თავისი სურვილით გაემგზავრა ფრონტზე ჩვენს ქვეყანაში შემოჭრილი ფაშისტი ავაზაკების გასანადგურებლად.

„— ქალაქ კ-ს დაცვისას, — სწერს იგივე ამხ. ა. კოსტიუკოვი,—დ. პაპუნაშვილმა და მისმა ამხანაგმა მფრინავებმა დიდი დახმარება გაუწიეს სარდლობას. მძიმე საბრძოლო ვითარებაში მათ შესძლეს მტრის სატანკო ნაწილების თავმოყრის ადგილების აღმოჩენა, რის შედეგადაც ეს ნაწილები სავსებით განადგურებულ იქნენ.

ამხ. დავით ალექსის-ძე პაპუნაშვილი დაიბადა 1912 წელს მუშის ოჯახში. ბავშვობისას პაპუნაშვილი ხელოსანთან იყო შეგირდად და [illegible] ნაშვილმა დაამთავრა საშუალო სასწავლებელი და შემდეგ ერთერთ საავიაციო სკოლაში მოეწყო. როგორც მფრინავი იგი დიდხანს მუშაობდა რუსეთში, სადაც სამგზავრო და საფოსტო თვითმფრინავები დაჰყავდა. ხანგრძლივი და უავარიო ფრენისათვის, ახალი სწრაფმავალი თვითმფრინავების სამოქალაქო ავიაციის ტრასებზე წარმატებით ათვისებისათვის ამხ. დ. პაპუნაშვილი მთავრობამ „წითელი დროშის“ ორდენით დააჯილდოვა.

ამხ. პაპუნაშვილი სკკ. ქ. პ. (ბ) წევრია 1931 წლიდან.

გერმანიის ფაშიზმთან ბრძოლის ფრონტზე სარდლობის დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის, ამასთან გმირობისა და სიმამაცის გამოჩენისათვის დავით ალექსის-ძე პაპუნაშვილი დაჯილდოებულია „წითელი ვარსკვლავის“ ორდენით.

მფრინავი გრიგოლ ვაშაკიძე

ახალგაზრდა მფრინავის, გრიგოლ ნოეს-ძე ვაშაკიძის ხასიათეტაციო ფურცელში ასეა ჩაწერილი.

„შემსრულებელი, დისციპლინირებული და კვალიფიციური პილოტია. უყვარს თავისი საქმე. თავისი [illegible] ამხანაგებს, — შეუსვენებლივ დაფრინავთ მტრის ზურგში, ვეხმარებით გმირ პატრიოტებს და ცხარე დღეებს ვუთენებთ ჰიტლერელ არამზადებს...

დღისით და ღამით, წვიმასა და სიცივეში, სიცხესა და ქარში გრიგოლ ვაშაკიძე შეუსვენებლივ მუშაობდა სარდლობის საპასუხისმგებლო დავალებათა შესასრულებლად. მალე ფრონტის მებრძოლთა შორისაც ისეთი სიყვარული და ავტორიტეტი დაიმსახურა, [illegible] როცა უკვე დაიქუხა სამამულო ომმა.

— გთხოვთ გამათავისუფლოთ სიმსახურიდან და მომცეთ საგზური ფრონტზე მოქმედ ერთერთ საავიაციო შენაერთში წასასვლელად“...

ასეთი განცხადებით მიმართა მან თავის უფროსს სამამულო ომის გამოცხადებისთანავე, და მართლაც სულ მალე გრ. ვაშაკიძე უკვე ფრონტზე იყო და საბრძოლო თვითმფრინავის საჭე ეპყრა ხელთ.

— აქ ვართ ყველანი,—სწერდა იგი ფრონტიდან ამას წინათ თბილისში დარჩენილ [illegible] დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის, ამასთან თავდადებისა და სიმამაცის გამოჩენისათვის მთავრობამ „წითელი დროშის“ ორდენით დააჯილდოვა.

გრიგოლ ნოეს-ძე ვაშაკიძე დაიბადა 1914 წელს სოფ. გლდანში (თბილისის რაიონი). მუშაობდა თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკაში და ამავე დროს წარმოებისაგან მოუწყვეტლივ სწავლობდა ფრენოსნობას. შემდეგ მან უფრო მაღალი ტიპის საფრენოსნო სკოლა დაამთავრა და 1936 წლიდან უკვე მფრინავად ირიცხება.

მფრინავი ივანე ბერიძე

ვანო ბერიძე,—ასე ეძახიან მას ამხანაგები,—ერთი იმ ახალგაზრდა პილოტთაგანია, რომელმაც სამამულო ომის გამოცხადებისთანავე პირველში შესცვალა სამოქალაქო ავიაციის მშვი[illegible] ვები, მაგრამ ყოველთვის ღირსეულად დაუღწევია თავი ხიფათისათვის და ღირსეულად შეუსრულებია სარდლობის დავალება.

მთავრობამ დააფასა ამხ. ბერიძის მუშაობა და იგი გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე უშიშრობისა და სიმამაცის გამოჩენისათვის დააჯილდოვა „წითელი დროშის“ ორდენით.

ივანე სიმონის-ძე ბერიძე ახალგაზრდაა. იგი დაიბადა 1912 წელს. როგორც კი წამოიზარდა, მამამ გამოგზავნა თბილისში, სადაც ხელობას სწავლობდა. შემდეგ ამხ. ი. ბერიძე მუშაობდა სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაში და თან [illegible] ბოლშევიკური პარტიის, ლენინურ-სტალინური კომკავშირის მიერ აღზრდილი, ყოფილი მუშა ვანო ბერიძე ამჟამად წარმატებით იბრძვის პირსისხლიანი ფაშისტი დამპყრობლების გასანადგურებლად.

მფრინავი ამბერკი კაციტაძე

მფრინავი კომუნისტი ამბერკი კაციტაძე სამამულო ომის დაწყების დღიდანვე ჩარიცხულ იქნა ფრონტზე მომქმედ № სატრანსპორტო-საავიაციო ქვედანაყოფში. იგი ახალი ჩასული იყო იქ საქართველოდან და, როგორც მთაგორიან ადგილებში ფრენას შეჩვეულს, გამოცდილსა და მაღალკვალიფიციურ პილოტს, მას მალე მიანდვეს მნიშვნელოვანი საბრძოლო ამოცანების შესრულება. საფრონტო გაზეთებმა მრავალჯერ აღნიშნეს მფრინავ კაციტაძისა და მისი თვითმფრინავის ეკიპაჟის წევრების ვაჟკაცობა, სიმამაცე და მტრებთან ბრძოლაში თავდადებისათვის მზადყოფნა.

— „მტრის ზურგში რამდენიმე ათეული კილომეტრის დაშორებით,—სწერს ამხ. ა. კუზ[illegible] ერთხელ კაციტაძის თვითმფრინავი შუა ტყეში პატარა მინდორზე დაეშვა. აქ თავმოყრილი იყვნენ დაჭრილი წითელარმიელები და აქვე სულ მახლობლად გაცხარებული ბრძოლები იყო. დაჭრილები თვითმფრინავში ჩასხეს. თვითმფრინავი უკვე გადატვირთული იყო, უნდა აფრენილიყო, რომ გამოჩნდა კიდევ ოთხი დაჭრილი მებრძოლი.

— მოდი ნურც ამათ დავტოვებთ, როგორმე მოვათავსოთ თვითმფრინავში და წავიყვანოთ,—სთქვა კაციტაძემ.

დიდის გაჭირვებით მოათავსეს გადატვირთულ თვითმფრინავზე კიდევ 4 კაცი. აამუშავეს მოტორები და კაციტაძემ მცირე გარბენისთანავე თვითმფრინავი მოსწყვიტა მიწას. შეამჩნიეს თუ არა ფაშისტებმა, თვითმფრინავს სროლა აუტეხეს. ოსტატური მანევრირებით კაციტაძემ შესძლო მტრის ცეცხლის ზონიდან თვითმფრინავის გაყვანა. რამდენიმე ათეული საბჭოთა პატრიოტის სიცოცხლე იხსნა მარტო ამ ერთი რეისით ამხ. კაციტაძემ“...

უკვე ხუთ თვეზე მეტია მფრინავი კაციტაძე იბრძვის ჰიტლერელი კაციჭამიების წინააღმდეგ. გერმანელ დამპყრობლებთან ბრძოლის ფრონტზე სარდლობის დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის, ამასთან სიმამაცისა და ვაჟკაცობის გამოჩენისათვის ამხ. [illegible]

ამბერკი პოლიკარპეს-ძე კაციტაძე დაიბადა სოფ. ხოტევში (ამბროლაურის რაიონი) 1908 წელს ღარიბი გლეხის ოჯახში. 1928 წელს იგი გაგზავნილ იქნა საავიაციო სკოლაში და რამდენიმე წლის განმავლობაში დაფრინავდა რუსეთის საჰაერო ხაზებზე.

ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული შვილი, მფრინავი ა. კაციტაძე ამჟამად წარმატებით იბრძვის სამამულო ომის ერთერთ ფრონტზე.

მფრინავი ვარტკეს კურკჩიანცი

სამამულო ომის გამოცხადებამდე ვარტკეს კურკჩიანცი სამგზავრო და საფოსტო თვითმფრინავებს მართავდა. მას ყველგან სახელი ჰქონდა მოხვეჭილი როგორც უნარიან, მოხერხებულ გულად მფრინავს. ყველგან იცნობდნენ მას, ყველგან უყვარდათ ეს შავგრემანი, ჯმუხა ჭაბუკი.

დაიწყო თუ არა სამამულო ომი, ვარტკეს კურკჩიანცმა სხვებთან ერთად ფრონტს მიაშურა და გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში ჩაება. ახლა ამხ. კურკჩიანცი [illegible] ლაში. 1936 წლიდან ამხ. კურკჩიანცი უკვე პილოტია.

კომკავშირელი პატრიოტი ვარტკეს კურკჩიანცი ამჟამად წარმატებით იბრძვის ჰიტლერელი ავაზაკების გასანადგურებლად.

გენერალ ბოლდინის ნაწილები წინ მიიწევენ

ტულის მიმართულება, 15 დეკემბერი (ტელეფონით ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან). გასული 2 დღის მანძილზე გენერალ ბოლდინის ნაწილები განაგრძობდნენ შეტევას ფრონტის მთელ ტულის უბანზე. გერმანელები ჩვენი ჯარების დარტყმების შედეგად სულ უფრო და უფრო შორს გარბიან სამხრეთისა და დასავლეთისაკენ, ამასთან ადამიანთა შემადგენლობისა და ტექნიკის მხრივ დიდი ზარალი მოსდით. თუ შეტევის მთელ წინანდელ პერიოდში ჩვენს ნაწილებს ყველაზე მეტი წარმატება ფლანგებზე აქვთ, ამ ორი დღის განმავლობაში არანაკლები წარმატებებია მიღწეული ფრონტის ტულის ზონის ცენტრშიც. ჩვენმა ნაწილებმა კოსაია გორასა და იასნაია პოლიანაში ფლანგებიდან . მომწყდეულ ფაშისტებზე გუშინ და დღეს ზურგიდან იერიში მიიტანეს და ორივე პუნქტიდან განდევნეს.

ყველაზე უწინ იასნაია პოლიანაში, დიდი რუსი მწერლის ლევ ნიკოლოზის-ძე ტოლსტოის სამშობლოში, ტრუბნიკოვის ნაწილის მებრძოლები შევიდნენ. კოსაია გორაში გერმანელებმა ბატალიონზე მეტი ქვეითი ჯარი და 10 ტანკი დაჰკარგეს. № ნაწილის ტანკისტებმა აქ ხელთ იგდეს გერმანელთა 2 საშუალო, დაუზიანებელი ტანკი, 8 ქვემეხი, 2 ნაღმსატყორცნი, მრავალი მანქანა და მოტოციკლი.

შესანიშნავი ოპერაცია ჩაატარეს გუშინ ამხ. სიაზოვის ნაწილის მეავტომატეებმა. ისინი ღამით გერმანელთა ზურგში მოექცნენ და ხელთ იგდეს რაიონული ცენტრი დუბნო, რომელიც ფრონტიდან 25 კილომეტრზე მდებარეობს. დუბნოს გერმანელთა გარნიზონს მოულოდნელად დაესხნენ თავს და მთლიანად გაჟლიტეს. დღეს ამხ. სიაზოვის ნაწილი თავის მეავტომატეებს შეუერთდა; ამასთან მან გზაში სულ ცოტა 400 ფაშისტი ჯარისკაცი და ოფიცერი დახოცა. სოფელ ბოლოხოვკის ქუჩებში მედგარი ბრძოლა გაჩაღდა. აქ ჩვენმა კავალერისტებმა და ქვეითმა ჯარისკაცებმა გერმანელთა ერთი ბატალიონი მოსპეს.

განვლილი 2 დღის მანძილზე გენერალ ბოლდინის ნაწილებმა გერმანელ დამპყრობთაგან 60-ზე მეტი დასახლებული პუნქტი გაათავისუფლეს.

მტერი უწესრიგოდ იხევს უკან

სამხრეთ-დასავლეთის ფრონტი, 15 დეკემბერი (ტელეგრაფით ჩვენი კორესპონდენტისაგან). გენერალ გოროდნიანსკის ნაწილები განაგრძობენ მძაფრ შეტევას. მტერი, რომელიც დასაწყისში ძლიერ წინააღმდეგობას გვიწევდა, ახლა შესამჩნევად დასუსტდა. ჩვენი ნაწილების გამანადგურებელმა დარტყმებმა გერმანელი ფაშისტი ბანდიტები აიძულეს საჩქაროდ და უწესრიგოდ დაეხიათ უკან, ამასთან ბრძოლის ველზე ჰყრიდნენ იარაღს, მატერიალურ ნაწილსა და საჭურველს. საჩქარო უკანდახევისას მტერი არა თუ დაუმარხავს სტოვებს მოკლულ ჯარისკაცებს და ოფიცრებს, არამედ დაჭრილთა წაყვანასაც კი ვერ ასწრებს.

13 დეკემბრის განმავლობაში გოროდნიანსკის ნაწილებმა ფაშისტთა ულისაგან 67 დასახლებული პუნქტი გაათავისუფლეს.

პანიკური უკანდახევისას ფაშისტთა ბანდები განაგრძობენ სოფლების დაწვას და მშვიდობიანი მოსახლეობის აწიოკებასა და ხოცვას. ისინი ართმევენ საკვებ პროდუქტებს, თბილ ნივთებს და სოფლებიდან თავისი ზურგისაკენ მიერეკებიან მცხოვრებთ.

სოფელ ბუდრაჩევოში კოლმეურნე ქალს დიმიტრიევას ფაშისტებმა 4 თვის ბავშვი მოუკლეს. მებრძოლებმა რომ მხეცობის ეს უმაგალითო ფაქტი გაიგეს, ფიცი დასდეს სასტიკად იძიონ შური მტერზე.

კიდევ უფრო ძლიერ დავეხმაროთ წითელ არმიას პირსისხლიანი ფაშიზმის განადგურებაში

საბჭოთა მიწა საფლავი გახდება ფაშისტ ავაზაკებისათვის

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაში 15 დეკემბერს მუშაობის დამთავრების შემდეგ ჩატარდა ხალხმრავალი მიტინგი, მიძღვნილი მოსკოვის მისადგომებთან გერმანელთა ჯარების წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლაში გმირული წითელი არმიის ბრწყინვალე გამარჯვებისადმი. ქარხნის მუშები, მუშა-ქალები, მოსამსახურეები, ინჟინერ-ტექნიკოსები უდიდესი სიხარულით შეხვდნენ საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობას მამაცი წითელი არმიის მორიგი გამარჯვების შესახებ, რომელიც დამსწრეებს გააცნო ქარხნის პარტკომის მდივანმა ამხ. ი. ნეფარიძემ.

— ყოველი ჩვენი ჩაქუჩის დარტყმა,—ამბობს სახალხო ვაგონების საამქროს პარტბიუროს მდივანი ამხ. ნ. გოლოვინი,—უნდა წარმოადგენდეს მტრისათვის ყუმბარის დარტყმას. ჩვენი ყოველი საქმე ...

ბილეთების წარმატებით გავრცელებას, რადგან,—ამბობს ამხ. მაჩაიძე,—იგი მთლიანად ხმარდება ჩვენი სამშობლოს დაცვას, ჩვენი გმირული წითელი არმიის გამარჯვების საქმეს.

— ჩვენი ქარხანა იგივე ფრონტია და მტრის წინააღმდეგ ჩვენი ბრძოლა ჩვენი თავდადებული მუშაობაა. ვიმუშაოთ ისე, როგორც ამას გვასწავლიდა დიდი ლენინი, ვიმუშაოთ ისე, როგორც ამას გვასწავლის დიდი სტალინი,—დაამთავრა თავისი მხურვალე სიტყვა საქვაბე საამქროს საკომპლექტო ბრიგადის უფროსმა ამხ. ი. სელიხოვმა. წითელ არმიელებისათვის საახალწლო საჩუქრების გაგზავნის კარგი წინადადება წამოაყენა თავის სიტყვაში შემკრები საამქროს სტახანოველმა ზეინკალმა ი. ჭონიაშვილმა.

...

მოსახლეობაული ფაშიზმის დღეკვის ქმნი

... გერმანიის ჯარების დამარცხების შესახებ. 15 დეკემბერს, შესვენების დროს შედგა სახელდახელო მიტინგი. მიტინგზე გამოსული ამხანაგები მხურვალედ მიესალმებოდნენ მოსკოვის მამაც დამცველებს და აღფრთოვანებას გამოთქვამდნენ წითელი არმიის მორიგი სახელოვანი გამარჯვების გამო.

სტახანოველმა პეტრიაშვილმა სთქვა: მოსკოვის მისადგომებზე გერმანიის ჯარის დამარცხება ერთხელ კიდევ მოწმობს ჩვენი ... ბოლშევიკური სიფხიზლე და ყველაფერი გავაკეთოთ ფრონტისათვის.

სამჭედლო საამქროს სტახანოველმა დონჩენკომ, გაუზიარა რა ამხანაგებს თავისი სიხარული, დასძინა: ჩვენი საამქრო იბრძოლებს იმისათვის, რომ წლიური გეგმა 20 დეკემბრისათვის შევასრულოთ. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ ჩვენი მშობლიური წითელი არმიის გამარჯვებისათვის.

მიტინგი 26 კომისრის სახელობის ქარხანაში

უდიდესი სიხარულითა და სიამაყის გრძნობით შეხვდნენ თბილისის 26 კომისრის მანქანათმშენებლობის ქარხნის მუშები, ინჟინრები, ტექნიკოსები და მოსამსახურეები საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობას მოსკოვის გარემოცვისა და აღების გერმანული გეგმების ჩაშლისა და დედაქალაქის მისადგომებთან მტრის საუკეთესო დივიზიების განადგურების შესახებ.

სადილის შესვენებისას მექანიკურ საამქროში გაიმართა საერთო-საქარხნო მიტინგი, რომელსაც დაესწრო პირველი ცვლის მუშები. მიტინგი გახსნა პარტბიუროს მდივანმა ამხ. ბახტაძემ. ტრიბუნაზე პირველი ადის ძველი მუშა ბრიგადირი ამხ. ა. რეზვინი, რომელიც ამბობს:

წითელი არმიის გამარჯვება დასავლეთის ფრონტზე ეს დასაწყისია იმ გამანადგურებელი დარტყმებისა, რომლებიც კიდევ უფრო მეტი სიძლიერით დაატყდება თავს ჩვენს სამშობლოში შემოჭრილ მტერს. წითელი არმიის გამარჯვებით აღფრთოვანებული მე და ჩემი ბრიგადის წევრები ვალდებულებას ვკისრულობთ კიდევ უფრო გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება, ვიმუშაოთ დაუღალავად და ვადამდე შევასრულოთ ყველა დავალება.

მგზნებარე სიტყვები წარმოსთქვეს ტექნიკური კონტროლის განყოფილების თანამშრომელმა ამხ. შეკინკროტკოვამ, საამწყობლო საამქროს უფროსმა ამხ. ოსიპოვმა, ხარატმა კომკავშირელმა ამხ. სანამიანმა. მათ აკისრეს ახალი ვალდებულებანი და პირობა დასდეს მთელი თავიანთი ძალა, მთელი ენერგია მოახმარონ ჩვენი ქვეყნის თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებას, დაეხმარონ წითელ არმიას პირსისხლიანი მტრის განადგურებაში.

მიღებულ რეზოლუციაში ქარხნის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა წლიური გეგმა ვადამდე—25 დეკემბრისათვის შესრულოს.

(საქინფორმი).

მთელი ენერგიით ვიბრძოლებთ მტრის განადგურებისათვის

სოხუმი („კომუნისტის" საკ. კორ.). საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობამ წითელი არმიის მიერ მოსკოვთან გერმანელთა ჯარების დამარცხების შესახებ აფხაზეთის მშრომელებში დიდი აღფრთოვანება გამოიწვია. ყველგან ტარდება ხალხმრავალი მიტინგები, რომლებზედაც მშრომელები ახალ-ახალ ვალდებულებებს იღებენ.

სოხუმის სამშენებლო მასალათა ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა სახელდახელო მიტინგზე სიტყვით გამოსულმა სტახანოველებმა ვერთანიანმა, ადამიამ, ეგოროვამ, სტაცევიჩმა და სხვებმა, რომლებიც საწარმოო დავალებას სისტემატურად 200-ზე მეტი პროცენტით ასრულებენ, პირობა დასდეს, რომ კიდევ უფრო გააუმჯობესებენ თავიანთ მუშაობას და ერთიორად გაზრდიან შრომის ნაყოფიერებას. საერთოდ ქარხნის კოლექტივმა პირობა დასდო, რომ დეკემბერში საწარმოო დავალებას დიდი გადაჭარბებით შეასრულებს.

მერკვილაძე

წითელი არმიის გამარჯვებას უპასუხებენ მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით

ბათუმი („კომუნისტის" კორ.). დიდი აღფრთოვანებით გაეცნენ აჭარის მშრომელები საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს სასიხარულო ცნობას მოსკოვის მისადგომებზე გერმანიის ჯარების დამარცხების შესახებ. მთელ რიგ საწარმოთა მოწინავე მუშებმა იკისრეს ვალდებულება კიდევ უფრო გაადიდონ შრომის ნაყოფიერება და ამ ახალ სახელოვან გამარჯვებას უპასუხონ მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით. დაუღალავად და ენერგიულად მუშაობენ ბათუმის ბერიას სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის ჩამომსხმელი როსლიკოვი, სამასოვანი გაივაროვსკაია, ბათუმის ნავსადგურის სახელოსნოს ჩამომსხმელი ავალიშვილი, ზეინკალი სტოლიაროვი, არტელ „ქალთა შრომის" ორასოვანი მუშა-ქალი სემიონოვა და სხვ.

მოსკოვის მისადგომებზე გმირული წითელი არმიის სახელოვანი გამარჯვება ბათუმელებმა მაღალი საწარმოო აღმავლობით აღნიშნეს. ბათუმის ბერიას სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის მეექვსე საამქრომ ერთერთი უკანასკნელი ცვლის დავალება 118 პროცენტით შეასრულა, ხოლო მექანიკურმა საამქრომ 159 პროცენტით. ხარატებმა შარინმა და გალიშევმა დღეში ორნახევარ-სამი ნორმა მოგვცეს. სინკოვის ბრიგადამ ცვლის დავალება 500 პროცენტით შეასრულა, ხოლო ჩამომსხმელმა როსლიკოვმა დღეში ოთხი ნორმა გამოიმუშავა.

დავაჩქაროთ გერმანული ფაშიზმის განადგურება

ყოველ საბჭოთა მოქალაქეს ღრმად სწამდა, რომ მოსკოვთან დაიწყებოდა განადგურება გერმანელ ფაშისტთა ურდოებისა, რომელნიც თავის სისხლიან თათებს უპოტინებენ ჩვენი სამშობლოს სიმდიდრეს, მის გულს—წითელ მოსკოვს. ამ რწმენის წყარო არის გენიალური სტრატეგი, დიდი სტალინი.

მოსკოვთან გერმანული ფაშიზმის განადგურება დაიწყო. ყოველ დღეს მოაქვს სასიხარულო ამბები, რომ საზიზღარი ოკუპანტებისაგან თავისუფლდება ახალ-ახალი ქალაქები და ასობით დასახლებული პუნქტი, რომელთა დაკავება მათ მილიონობით გერმანელ ჯარისკაცთა სიცოცხლის ფასად დაუჯდათ. ფაშისტთა „უძლეველი" არმია უწესრიგოდ იხევს უკან მამაცი წითელი არმიის გამანადგურებელი დარტყმების შედეგად.

გერმანელი ავაზაკების განადგურება, რაც მოსკოვთან დაიწყო, ძლევამოსილად დამთავრდება, ვინაიდან ამ საქმეს ჩვენი საყვარელი სტალინი ხელმძღვანელობს.

ჩვენი—ზურგის მუშაკთა — მოვალეობაა უფრო მეტი თავდადებით ვიშრომოთ ჩვენს პოსტებზე, უზრუნველვყოთ ფრონტი ყოველივე იმით, რაც მას ესაჭიროება, და ამით დავაჩქაროთ გერმანული ფაშიზმის დაღუპვა.

ნ. მუსხელიშვილი
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი.

(საქინფორმი).

გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება, გადაჭარბებით შევასრულოთ საწარმოო გეგმები

ასპინძის რაიონის მშრომელები ეხმარებიან ფრონტს

სამამულო ომის დღეებში ასპინძის რაიონის მრავალმა კოლმეურნემ გამოიჩინა ინიციატივა და შემოიტანა წინადადება თესვის გეგმის გადაჭარბებით დასთესონ თავდაცვის ... , რომლების მოსავალიც მთლიანად გადაირიცხება თავდაცვის სახალხო ფონდში. ეს ინიციატივა მოიწონეს რაიონის კოლმეურნეებმა. გაზეთ „კომუნისტის" 1941 წლის 3 ავგისტოს ნომერში გამოქვეყნდა ასპინძის რაიონის კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების წერილი თესვის გეგმის გადამეტება ...

... დათესვაში განსაკუთრებული გულმოდგინება გამოიჩინეს სოფ. ხიზაბავრის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა ი. მაჭავარიანმა, გ. ხუციშვილმა, ი. ხითარიშვილმა და სხვ. სოფ. საროს კოლმეურნეობაში—გ. ლონდარიძემ, ნ. ლონდარიძემ, სოფელ ზველის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა ა. ზედგინიძემ, ტ. ზედგინიძემ, ასლან ალი-ოღლიმ, ჯაბარ ჰამიდ-ოღლიმ, სოფ. ასპინძის კოლმეურნეობა „წითელი მზვენელის" წევრებმა—მურთაზ ნუ- ...

ი. ძნელაძე

ადიგენის რაიონი ამ დღეებში

ფაბრიკების აქტიურებული ფრონტისათვის დახმარებას

საგზაფრონდ სამეურნეო გეგმების შესრულება

... რო სამეურნეო გეგმა 101 პროცენტით შესრულა. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 20.182 ჰექტარისა მოხნულია 20.408 ჰექტარი. მზრალად მოხნულია 803 ჰექტარი, ... ბულია 30.000 მანეთით.

მზრალად ხვნა გრძელდება.

გურჯაანის მტს-ის დირექტორი
დათუაშვილი



თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის ხარატი გ. აკოფოვი, რომელიც სტალინური კონსტიტუციის წლისთავისათვის აღებულ ვალდებულებას ყოველდღიურად ასრულებს 300-550 პროცენტით.

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მქსოველი ანიკო იმნაძე, რომელსაც ვალდებულება აქვს აღებული ორ საქსოვ მანქანაზე 115 პროცენტით შესრულოს დავალება, ფაქტიურად ყოველდღიურ დავალებას 120-150 პროცენტით ასრულებს.

ფოტო რ. აკოფოვისა.

კიროველებმა სამხედრო ყაიდაზე უნდა იმუშაონ

სამამულო ომის მრისხანე დღეებში კიროვის სახელობის თბილისის დაზგათმშენებელი ქარხნის მუშაობის შინაარსი გამოიცვალა. ქარხნის კოლექტივი სრულიად ახალი სახის პროდუქციას იძლევა. ეს მოითხოვს შეუსვენებელ, სამხედრო ყაიდაზე მუშაობას. მაგრამ ქარხნის ხელმძღვანელებმა სათანადოდ ვერ შეაფასეს დაკისრებული საპატიო მოვალეობის დიდი მნიშვნელობა. ისინი ადგილობრივ რესურსებს უნარიანად ვერ იყენებდნენ, მასალებისა და იარაღების ...

... ტორად გადაიყვანეს, უფროსი ოსტატი ამხ. რუდიჩენკო, მეგეგმავე ამხ. ზინჩენკო და დაზგების მომწყობი ამხ. დემიანენკო ამჟამად დაზგებზე მუშაობენ. საამქროებში გადაყვანილ იქნენ აგრეთვე მცოდნე, გამოცდილი და ენერგიული მუშაკები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ამხანაგებზე მეტად დიდი და საპატიო ამოცანებია დაკისრებული. მათ ყველა სიძნელე უნდა დასძლიონ და პატიოსნად მოიხადონ თავიანთი ვალი სამშობლოს წინაშე.

ქარხანა, როგორც ვთქვით, ახალ პროდუქ- ...

... განყოფილებებიდან უშუალოდ საამქროებში გადაიყვანეს. უფროსი კონსტრუქტორი ამხ. მოსეშვილი ახლა მექანიკური საამქროს უფროსი ოსტატია, კონსტრუქტორი ამხ. ივანოვი—დაზგების მომწყობი, ტექნოლოგი ამხ. კულეცი—საიარაღო საამქროს ტექნოლოგი, წამყვანი კონსტრუქტორი ამხ. პეტროვი—მექანიკური საამქროს უფროსი კონსტრუქ- ... სურსები.

კიროველებს სამამულო ომის დღეებში მეტად დიდი და საპატიო ვალი აკისრიათ. იგი უნდა შესრულდეს უყოყმანოდ, ვადაზე, მაღალხარისხოვნად. ამას მოითხოვს გერმანელ ოკუპანტთა საბოლოო განადგურების ამოცანა.

ა. შიოლაძე

იბრძვიან, რათა თვითეული მუშა ასრულებდეს დღიურ ნორმებს

ბათუმი („კომუნისტის" კორ.). სამამულო ომის დღეებს ლ. პ. ბერიას სახელობის ბათუმის მანქანათმშენებელ ქარხანაში დიდი საწარმოო გამარჯვებებით აღნიშნავენ. შეასრულა რა წლიური საწარმოო გეგმა 9 თვეში, ქარხანა ყოველდღიურ გეგმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებს.

თავდადებულად მუშაობენ მჭედელთა საამქროს მუშები ტექნიკოს ჩხარტიშვილის ხელმძღვანელობით. ეს საამქრო ჩამორჩენილი იყო ომამდე, ახლა მოწინავეა. საამქრომ ნოემბრის საწარმოო გეგმა 120,5 პროცენტით შეასრულა, 6,5 პროცენტით შეამცირა სათბობის ხარჯვა. აქვე ამხ. როსლიაკოვის ბრიგადამ დღიური გეგმების შესრულება 300 პროცენტამდე აიყვანა; მჭედელი ნიკოლოზ სინკოვი ოთხასოვანია, 6 დეკემბერს მან დღიური გეგმა 520 პროცენტით შეასრულა.

საამქრო, რომელსაც ამხ. გრიგორიანი ხელმძღვანელობს, დღეში ერთნახევარ— ორ ნორმას იმუშავებს. დღეში ორიდან—სამ ნორმას იძლევიან ომის დროის სტახანოველები ამხ. თავდუმაძე, შიში, ცილა, სავჩენკო, კარაკოზოვი, ბახმატსკაია. მანქანათმშენებელი ქარხნის გამარჯვებებს სჭედს 118 სტახანოველი, 51 ორასოვანი, რომლებიც ყველაფერს აკეთებენ მეტი პროდუქციის გამოშვებისათვის.

ქარხანაში მოვიდნენ ახალი მუშები; ზოგიერთ მათგანს უძნელდება დღიური ნორმის შესრულება, მაგრამ ქარხნის ხელმძღვანელობა ყოველმხრივ ეხმარება მათ, იღებს საჭირო ზომებს, რათა ყველა მუშა ასრულებდეს დღიურ დავალებას. ამ მიზნით ჩამორჩენილებს ამაგრებენ ძველ, გამოცდილ ხელოსნებს, კვალიფიციურ მუშებს. ეს ღონისძიება კარგ შედეგს იძლევა.

ამხ. გვარჯალაძეს და ციბას, რომლებიც წინათ გეგმებს ვერ ასრულებდნენ, მიამაგრეს გამოცდილი მუშა კულჩინი. უკვე მესამე თვეა, რაც გვარჯალაძე და ციბა ყოველდღიურ დავალებას 130-150 პროცენტით ასრულებენ. ამგვარად, ოსტატთა დახმარების მეოხებით ორასოვნები გახდნენ ახალგაზრდა მუშები გ. ხვანიძე, ო. ცაავა და გ. ნაკაშიძე.

ეს მუშაობა უფრო უნდა გაძლიერდეს, უნდა მივაღწიოთ, რომ ყველა მუშა ასრულებდეს დღიურ საწარმოო დავალებას.

ხ. ყურაშვილი

მაუდ-კამვოლის ფაბრიკამ წლიური გეგმა გადამეტებით შეასრულა

თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკის კოლექტივმა მუშაობის სამხარ ყაიდაზე გარდაქმნის შედეგად ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შეასრულა მიმდინარე წლის საწარმოო გეგმები, როგორც საერთო, ისე სასაქონლო პროდუქციის გამოშვებისა. 13 დეკემბრისათვის წლიური გეგმის გადამეტებით გამოუშვა 360.900 მანეთის პროდუქცია. წლის დასასრულამდე გეგმის ზევით 700.000 მანეთის პროდუქციას გამოუშვებს.

ფაბრიკის კოლექტივმა დღემდე მიაღწია 88 ტონა მატყლის, სხვა ძირითადი და დამხმარე მასალების და ელექტროენერგიის მნიშვნელოვან ეკონომიას. ამასთან მკვეთრად გააუმჯობესა პროდუქციის ხარისხი. ასე, მაგალითად, მიმდინარე წლის ივნისში გამოშვებული პროდუქციიდან პირველი ხარისხისა 73,9 პროცენტს შეადგენდა, ხოლო ნოემბერში—81,4 პროცენტს.

ამჟამად ფაბრიკის კოლექტივი დაუცხრომლად მუშაობს იმისათვის, რომ მომავალ სამეურნეო წელს ყოველმხრივ მომზადებული შეხვდეს.

გეგმების შესრულება

ზუგდიდის რაიონმა მანდარინის დამზადების გეგმა ვადამდე და გადაჭარბებით შეასრულა. დამზადებულია და სახელმწიფოსათვის ჩაბარებულია 4.016.606 ცალი მანდარინი, ნაცვლად 4.000.000 ცალისა. გეგმა შესრულებულია 100,4 პროცენტით, ლიმონის დამზადების გეგმა კი—200 პროცენტით.

მანდარინისა და ლიმონის დამზადება გრძელდება.

საქ. კ. პ. (ბ) ზუგდიდის რაიკომის მდივანი გ. ჩარგაია
რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გ. საჯაია

ბათუმი („კომუნისტის" კორ.). ბათუმის ფანერის ქარხანამ წლიური გეგმა 5 დეკემბრისათვის გადაჭარბებით შეასრულა.

სავენეო საამქრომ (გამგე გ. ცქიტიშვილი) ნოემბერში თითქმის იმაზე ორჯერ მეტი პროდუქცია გამოუშვა, ვიდრე ნავარაუდევი იყო. ამ საამქროში ნინო ჯიშელეიშვილი, ასია კარაპეტიანი, ალი ჩანადირი და კრაფინ ადინკო ყოველდღიურად ორ-ორ ნორმას იძლევიან.

ბათუმის ფანერის ქარხანა წლის დამლევამდე რამდენიმე ათასი მანეთის მაღალხარისხოვან პროდუქციას გამოუშვებს.

თბილისის საოპერო თეატრში

თბილისის საოპერო თეატრში, მის ძირითად ცნობილ აქტიორებთან ერთად, წელს მუშაობენ ახალი კვალიფიციური ძალები, რომლებიც მოძმე რესპუბლიკებიდან არიან მოწვეულნი. ესენია უკრაინის სსრ სახალხო არტისტი დირიჟორი ს. სტოლერმანი, მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტები—რსფსრ დამსახურებული არტისტი ვ. დავიდოვა, დ. მჭედლიძე, დ. ბადრიძე, მოცეკვავენი — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, სტალინური პრემიის ლაურეატი ვ. ჩაბუკიანი და ...

... ვოკალისტი, რომლის ინტონაციის სისუფთავე და უშეცდომო ტექნიკა იტაცებს მსმენელს. მისი სიმღერა სავსეა უნაზესი მუსიკალური ფერებით, რომლებიც საუკეთესოდ გადმოგვცემენ აზრისა და გრძნობის ნაირსახეობას.

სასარგებლო შენაძენია ჩვენი ოპერისათვის ბანი დ. მჭედლიძე. მან დაამთავრა თბილისის კონსერვატორია 1924 წელს, ხოლო შემდეგ ლენინგრადის კონსერვატორია. 1932 წლიდან დ. მჭედლიძე მუშაობს მოსკოვის დიდ თეატრში, სადაც თავი გამოიჩინა როგორც საინ- ...

„ლატავრა" საოპერო თეატრის სცენაზე

ჰფარავს თუ ვერა გერმანია თავისი ტანკების დანაკლისს?

გერმანელებს აღმოსავლეთის ფრონტზე ცოცხალი ძალისა და საბრძოლო ტექნიკის კოლოსალური ზარალი მოსდით. ომის მარტო პირველი სამნახევარი თვის განმავლობაში მათ 11.000 ტანკი დაკარგეს. ნეიტრალური სამხედრო წრეების მოწმობით, ეს ციფრი ამჟამად 16.000 ტანკამდე გაიზარდა. საბრძოლო მანქანების ასეთი დიდი რაოდენობით დაკარგვა, უეჭველია, დაეტყო ფაშისტ... ბის ხარჯზე, დასავლეთის რაიონებიდან გადმოყვანილი ნაწილების ხარჯზე, ნაწილობრივ აგრეთვე დაზიანებული მანქანების რემონტისა და აღდგენის ხარჯზე. ტანკები, რომლებიც გერმანელებმა ხელთ იგდეს საფრანგეთსა და ჩეხოსლოვაკიაში ორგანულად შეყვანილ იქნა გერმანიის დივიზიების შემადგენლობაში საბჭოთა კავშირთან ომის მომენტისათვის.

...

2. ესენი—ბოხუმი—დიუსელდორფი—კრეფელდი — ტანკების საერთო პროდუქციის 25-მდე პროც.
3. პრაღა — პილზენი—ტანკების საერთო პროდუქციის 10-15 პროც.
4. ნიურნბერგი—შტუტგარტი.
5. ბრესლაუ — პლაუენი.
6. ვარშავა და კრაკოვი.

ამჟამად გერმანიას სულ აქვს დაახლოებით 20 ქარხანა, რომლებიც ტანკებსა და სატანკო აგრეგატებს (კორპუსები, კოშკურები, ძრავები, გადაცემის შესაცვლელი კოლოფები და სხვ.) ამზადებენ. ერთი ამწყობი ქარხანა თვეში საშუალოდ უშვებს 70-80 ტანკს, რაც გერმანიაში ტანკების წარმოების ...

გერმანიის ქარხნებს, მათ შორის ტანკების ქარხნებსაც, აყენებს საბჭოთა კავშირისა და ინგლისის ავიაცია. ბერლინის, ესენის, მაგდებურგისა და სხვა ქალაქების სამხედრო ობიექტების დაბომბვა უეჭველია ახდენს გავლენას ტანკების გამოშვებაზე. სსრ კავშირისა და ინგლისის საჰაერო ძალთა ეს დარტყმები მომავალში უფრო და უფრო გაძლიერდება.

ფაშისტები განიცდიან უდიდეს სიძნელეებს სათადარიგო ნაწილებით თავიანთი სატანკო დივიზიების მომარაგებისა და ტანკების რემონტის მხრივ. შორ მანძილზე გაჭიმული კომუნიკაციები, გზაში გადმოტვირთვა-დატვირთვის აუცილებლობა (სსრ კავშირისა და ...

...

უცხოეთის პრესა აღმოსავლეთის ფრონტზე გერმანელთა მარცხის შესახებ

ნიუ-იორკი, 16 დეკემბერი (საკდესი). წითელი არმიის წარმატებათა შესახებ მიღებულ ცნობებს კვლავ მთავარი ადგილი უჭირავს ამერიკის პრესაში. „ნიუ-იორკ ტაიმსი" პირველი გვერდის 8 სვეტზე ასეთს სათაურს ათავსებს: „რუსები განაგრძობენ შეტევას ნაცისტების წინააღმდეგ მოსკოვთან". გაზეთი „პმ" სწერს: „ეს დემოკრატიული სახელმწიფოების უდიდესი გამარჯვებაა მთელი ომის განმავლობაში".

ვაშინგტონის გაზეთ „სტარის" მიმომხილველი მორლი სწერს, რომ სსრ კავშირის მიერ ჰიტლერის გერმანიის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლაში მიღწეულ წარმატებებს დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო მოსკოვისა და მთელი რუსი ხალხისათვის, არამედ ვაშინგტონისთვისაც, შეერთებული შტატების მომავლისთვისაც. ნაცისტების უკანდახევა როსტოვთან და მათი დამარცხება მოსკოვთან წარმოადგენს პირველ შემთხვევას, როდესაც ჰიტლერის არმიებმა ვერ შესძლეს მათ მიერ დაწყებული კამპანიის მოგება. ისტორია სათანადოდ დააფასებს რუსებს იმისათვის, რომ მათ არამც თუ მარტო შეაჩერეს ელვისებური ომი, არამედ კიდეც გააქციეს თავისი მტერი.

რიჩმონდის (ვირგინიის შტატი) გაზეთი „ტაიმსი დისპეტჩი" მოწინავე სტატიაში, რომლის სათაურია „ჰიტლერი ნაპოლეონის კვალს მისდევს", ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იმ საშინელი დამარცხების საბოლოო „შედეგებს", რაც რუსეთმა გერმანიის არმიას აჭამა, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ექნება როგორც ამერიკისათვის, ისე მთელი მსოფლიოსთვისაც. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელების ყურადღება, სავსებით ბუნებრივად, წყნარ ოკეანეში მოვლენათა განვითარებისაკენ არის მიპყრობილი, არ უნდა დავივიწყოთ, რომ საბჭოთა წარმატებანი, შესაძლოა, გარდატეხის მომენტს მოასწავებენ ახლანდელ ომში.

დღითი-დღე,—სწერს შემდეგ გაზეთი, — სულ უფრო და უფრო ცხადი ხდება, რომ, როცა ღერძის სახელმწიფოები, ბოლოს, სავსებით განადგურებული იქნებიან, ამ სახელმწიფოთა ბედის შეცვლა რუსეთში მათი შეჭრის მომენტიდან გამოიანგარიშება. წითელმა არმიამ მთელ მსოფლიოს ნათლად დაანახვა, რომ ნაცისტები სრულიად არ არიან უძლეველნი. წითელმა არმიამ გადასჭრა ნაცისტთა ჯავშანსატანკო დივიზიებისადმი წინააღმდეგობის გაწევის პრობლემა და ამით ახალი იმედი ჩაუნერგა მთელი მსოფლიოს ხალხებს.

სტოკჰოლმი, 16 დეკემბერი (საკდესი). ცენტრალური გაზეთების შემდეგ მთელმა შვედურმა პროვინციულმა პრესამაც მეტად თვალსაჩინო ადგილას და ვეებერთელა სათაურებით მოათავსა საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობა მოსკოვთან გერმანელების დამარცხების შესახებ. გაზეთები სათაურებში ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ გერმანელებმა მოსკოვთან დიდი დამარცხება განიცადეს, და რომ გერმანელთა გეგმები მოსკოვის დაპყრობისა ჩაიშალა, ხოლო რუსების კონტრშეტევას წარმატება მოჰყვა. გაზეთი „გეტებორგს ჰანდელსტიდნინგი" მოწინავე სტატიაში სწერს: „დღემდე ჰფიქრობდნენ, რომ როსტოვთან ფონ კლაისტის დამარცხება გერმანელთა ყველაზე სერიოზული დამარცხება იყო აღმოსავლეთის ფრონტზე. ახლა ირკვევა, რომ მოსკოვისათვის გაჩაღებულ გრანდიოზულ ბრძოლას, რომელიც გერმანელთა პროპაგანდამ უკვე 9 ოქტომბერს „დაამთავრა", გერმანელთა დიდი დამარცხება მოჰყვა. გერმანელთა მდგომარეობა რუსეთში უკვე მოგვაგონებს წინანდელ მსოფლიო ომში მარნაზე მომხდარი ბრძოლის შემდეგ შექმნილ სიტუაციას. გერმანელები აცხადებენ, „ტაქტიკურ უკანდახევას" ვახდენთო, მაგრამ ხომ ყველასათვის ცნობილია, რომ ყველა დამარცხებული არმია მუდამ „ტაქტიკური" მოსაზრებებით იხევდა უკან".

გამოხმაურება იუგოსლავიაში აღმოსავლეთის ფრონტზე გერმანელთა დამარცხების გამო

სტამბოლი, 16 დეკემბერი (საკდესი). სტამბოლში იუგოსლავიის წრეებმა ცნობები მიიღეს, რომ სერბიელმა პარტიზანებმა საბჭოთა გადაცემების რეგულარული მოსმენა მოაწყეს. განსაკუთრებული ყურადღებით ისმენენ საბჭოთა სამხედრო ცნობებს. თავისი ძალით განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობამ მოსკოვზე გერმანელთა შეტევის ჩაშლის შესახებ. პარტიზანული რაზმების უმრავლესობაში გაიმართა კრებები, რომლებიც საბჭოთა ჯარების გამარჯვებას მიეძღვნა. ბელგრადის რაიონში მოქმედი პარტიზანული ჯგუფის ერთ-ერთ ასეთ კრებაზე მიღებული იქნა მიმართვა მოსკოვის დამცველებისადმი. მიმართვაში ნათქვამია, რომ წითელი არმიის მიერ მოსკოვთან მოპოვებული წარმატებანი აღაფრთოვანებენ სერბიელ პარტიზანებს ახალი საგმირო საქმეებისათვის, რომ გაანადგურონ და საბოლოოდ განდევნონ ოკუპანტები სერბიის მიწა-წყლის ძველი დედაქალაქიდან. უკანასკნელი კვირის განმავლობაში, ნათქვამია მიმართვაში, პარტიზანულმა რაზმმა მოკლა 5 გერმანელი ოფიცერი და 53 გერმანელი ჯარისკაცი. „ვფიცავთ ჩვენს ძველ ქალაქს,—ნათქვამია მიმართვაში, — რომ თქვენი მაგალითით აღფრთოვანებული სერბიელი პარტიზანები ძალასა და სიცოცხლეს არ დაიშურებენ ჰიტლერის გერმანიის განადგურების დასაჩქარებლად".

მოსკოვთან საბჭოთა ჯარების გამარჯვების შესახებ ცნობების მიღების უკვე მეორე დღეს ბელგრადში, უჟიცში, ვალიევოსა და იუგოსლავიის სხვა ქალაქებში გავრცელდა ფურცლები გერმანიის ჯარის დამარცხების შესახებ. ბელგრადის რადიომ, რომელსაც გერმანელები უწევენ კონტროლს, ამის გამო გააჩაღა კამპანია „მტრული პროპაგანდის ცნობების გამავრცელებელთა" წინააღმდეგ. 13 დეკემბერს მან გამოაცხადა, რომ დახვრიტეს სამი კაცი ისეთი ცნობების გავრცელებისათვის, „რომლებსაც შეუძლია ზიანი მიაყენოს გერმანიის შეიარაღებულ ძალებს".

ნაცისტური გაზეთის ნაღვლიანი ფიქრები

სტოკჰოლმი, 16 დეკემბერი (საკდესი). გერმანული გაზეთი „ბრიუსელერ ცაიტუნგი", რომელიც გერმანელთა მიერ დამონებულ ბელგიაში გამოდის, ეხება როსტოვთან გერმანელების უკანდახევას და მწარედ უჩივის იმას, რომ „გერმანელი ხალხი, რომელიც გამარჯვებებს შეეჩვია, იძულებული გახდა უკანდახევას შერიგებოდა". გაზეთი იძულებულია ისიც კი აღიაროს, რომ „გერმანიაში აპატია იყო შემჩნეული", როცა მიღებულ იქნა ცნობა როსტოვიდან გერმანელთა ჯარების უკანდახევის შესახებ. კიდევ მეტი, „ბრიუსელერ ცაიტუნგი" აღიარებს, რომ ეს მოვლენა „კრიზისი აღმოჩნდა გერმანიისათვის". გაზეთი თავს იმით ინუგეშებს, რომ „გერმანიამ მხოლოდ კრიზისი განიცადა, და არა კატასტროფა". გაზეთი დასძენს, რომ „დამუქრებულ კრიზისს, შეეძლო კატასტროფა გამოეწვია გერმანიაში". ამავე დროს ნაცისტური ორგანო ვერ მალავს იმ შეშფოთებას, რომელმაც გერმანელი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ფენები მოიცვა. „გერმანელი ხალხისათვის, — სწერს გაზეთი,—დაიწყო დიდი კრიზისი—არაჩვეულებრივი მასშტაბის მოულოდნელი ომი". შემდეგ გაზეთი ცდილობს „დაამშვიდოს" გერმანელები. იგი ირწმუნება, რომ როსტოვთან გერმანიის ჯარების უკანდახევა „გეგმაზომიერად" ჩატარდა. „გერმანელ ხალხს ესმის,—სწერს გაზეთი,—რომ ზოგჯერ საჭირო ხდება შესწირო პაიკი მეფის გულისათვის, რომელსაც ამ შემთხვევაში მოსკოვი წარმოადგენს".

რაღას ეტყვის ახლა თავის მკითხველებს „ბრიუსელერ ცაიტუნგი" იმასთან დაკავშირებით, რომ წითელმა არმიამ გაანადგურა და უკუაქცია მოსკოვთან მოქმედი გერმანელ ფაშისტთა ურდოები?

ამერიკის შეერთებული შტატების საომარი ღონისძიებანი

ვაშინგტონი, 14 დეკემბერი (საკდესი). წარმომადგენელთა პალატის თავმჯდომარემ რეიბერნმა განაცხადა, რომ მას განზრახვა აქვს დაუყოვნებლივ შეიტანოს კონგრესში კანონპროექტი 18-დან 65 წლამდე ასაკის ყველა მამაკაცის რეგისტრაციის შესახებ. რეიბერნის სიტყვით, კანონპროექტი ითვალისწინებს აგრეთვე 19-დან 45 წლამდე ასაკის მამაკაცთათვის სამხედრო ბეგარის შემოღებას.

ნიუ-იორკი, 15 დეკემბერი (საკდესი). ამერიკული პრესა იუწყება, რომ გაჩაღებულია ფართო მზადება ამერიკის შეერთებული შტატების დასავლეთ სანაპიროზე საჰაერო თავდასხმების მოსაგერიებლად. დასავლეთის რვა შტატისა და ალიასკის ამერიკელთა ყველა ჯარი ამ დღეებში გენერალ დევიტის ერთიან სარდლობას დაუმორჩილეს. სიფრთხილის განსაკუთრებული ღონისძიებებია მიღებული ზოგიერთ ზღვისპირა რაიონში, კერძოდ, სან-ფრანცისკოს და სან-დიეგოს ყურეებში, მდინარე კოლუმბიის შესართავისა და პუგეტის ყურის რაიონში.

სამოქალაქო თავდაცვის სამმართველოს ხელმძღვანელი, ქალაქ ნიუ-იორკის მერი ლა გარდია ამერიკის შეერთებული შტატების დასავლეთ სანაპიროს ქალაქებში მოგზაურობის დროს, აგრეთვე სხვა ოფიციალური წარმომადგენლები სამოქალაქო მოსახლეობას აფრთხილებდნენ, ჩაბნელებასა და საჰაერო განგაშს სერიოზულად უნდა მოეპყროთო. დღემდე მოსახლეობაში ფართოდ არის გავრცელებული ის აზრი, რომ ჩაბნელებასა და განგაშს სასწავლო ხასიათი აქვს. გასულ კვირას ბევრ რაიონში არაერთხელ მოახდინეს ჩაბნელება და გამოაცხადეს განგაში, რადგან მიიღეს ცნობები თვითმფრინავების მოახლოების შესახებ, რომელთა ეროვნული კუთვნილება გამორკვეული არ ყოფილა. ამ განგაშთან დაკავშირებით, ზოგიერთ ხაწარმოში საჰურვლის წარმოება შეფერხდა, კერძოდ, ჩაბნელების დროს შესწყდა წარმოება ზოგიერთ საავიაციო ქარხანაში. მაგრამ ამჟამად მიღებულია ზომები ამ საწარმოთა ჩასაბნელებლად, რათა საჰაერო განგაშის დროს შესაძლებელი იყოს მუშაობის განგრძობა. სან-ფრანცისკოს უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებათა შენობები, აგრეთვე საწარმოები დაცულია ქვიშიანი ტომრებით.

რუზველტმა ხელი მოაწერა ახალ კანონს

ვაშინგტონი, 14 დეკემბერი (საკდესი). რუზველტმა ხელი მოაწერა კანონს, რომელიც მთავრობას უფლებას ანიჭებს დედამიწის ყოველ ნაწილში გამოიყენოს ნაციონალური გვარდია, აგრეთვე სამხედრო კანონის საფუძველზე ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებულ ძალთა შემადგენლობაში გაწვეული პირნი.

ესევე კანონი ითვალისწინებს, რომ არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთელი პირადი შემადგენლობა ომის მთელი ხნის მანძილზე სამხედრო სამსახურში რჩება.

საომარი მოქმედება ლიბიაში

ლონდონი, 16 დეკემბერი (საკდესი). ინგლისის ახლო აღმოსავლეთის შეიარაღებულ ძალთა სარდლობის 16 დეკემბრის კომუნიკეში ნათქვამია, რომ გუშინ ინგლისის ჯარები შეტევას განაგრძობდნენ და სძლევდნენ გერმანიისა და იტალიის ქვეითი ჯარების, ტანკებისა და ავიაციის წინააღმდეგობას. ალემ ჰამზთან (25 კილომეტრზე ელ-ჰაზალის სამხრეთ-დასავლეთით) ინგლისისა და ინდოეთის ჯარებმა იერიში მიიტანეს თავდაცვით პოზიციებზე, რომლებსაც გერმანიის ერთი და იტალიელთა 3 დივიზიის დიდი ნაწილები ინარჩუნებდნენ; მათ ეხმარებოდათ ყველა ტანკი, რომლებიც გერმანელებს დარჩათ. მედგარი ბრძოლის შემდეგ მოწინააღმდეგის თავდაცვა ცენტრალურ უბანზე გარღვეულ იქნა და ინგლისის ჯარებმა წინ წაიწიეს.

იმავდროულად სამხრეთ-დასავლეთისა და დასავლეთისაკენ ინგლისის მოტომექანიზებულმა ნაწილებმა ფართო საფლანგო შემოვლა მოაწყეს და 15 დეკემბრის საღამოს ელ-ოლებას (დაახლოებით 50 კილომეტრზე ელ-ჰაზალის დასავლეთით) მიაღწიეს, საიდანაც კვლავ ურტყამენ მოწინააღმდეგის ზურგსა და რეზერვებს.

ეგვიპტემ დიპლომატიური ურთიერთობა გასწყვიტა რუმინეთსა და უნგრეთთან

ლონდონი, 16 დეკემბერი (საკდესი). ეგვიპტემ დიპლომატიური ურთიერთობა გასწყვიტა რუმინეთსა და უნგრეთთან.

იაპონია-ჩინეთის ომი

სამხრეთის ფრონტიდან მიღებული ცნობებით, ჩინეთის ჯარებმა გააჩაღეს საომარი მოქმედება იაპონიის იმ ჯარების ფლანგებზე და ზურგში, რომლებიც კოულუნის ნახევარკუნძულზე მოქმედებენ. გააფთრებული ბრძოლაა კანტონ-კოულუნის რკინიგზის აღმოსავლეთით მდებარე რაიონში. ჩინეთის ჯარები აჩაღებენ აგრეთვე პარტიზანულ მოქმედებას იაპონიის ჯარების ზურგში. ჩინეთის ჯარები წინ მიიწევენ კანტონისაკენ, ამასთან ანგრევენ ხიდებს და სწყვეტენ კავშირგაბმულობის ხაზებს.

ბრძოლა განახლდა მდინარე იანძის შუა წელზედაც, კერძოდ, ძიანსის პროვინციაში. ჩინეთის ჯარებს იერიში მიაქვთ იაპონელთა გარნიზონებზე ქალაქ ნანჩანის რაიონში.

15 დეკემბერი. (საკდესი).

სამხრეთ ჩინეთში, კანტონის აღმოსავლეთით მდებარე რაიონში, საომარი მოქმედება გრძელდება. ჩინეთის ჯარები აქტიურ ოპერაციებს ავითარებენ იაპონიის ჯარის იმ ნაწილების ზურგში, რომლებიც ჰონკონგის წინააღმდეგ მოქმედებენ კოულუნის ნახევარკუნძულზე. ჩინელები მთავარ ყურადღებას აქცევენ კანტონ-კოულუნის რკინიგზის ზონას. ეს ოპერაციები ართულებენ იაპონიის ჯარების მდგომარეობას და საფრთხეს უქმნიან მათ ზურგში.

ძიანსის პროვინციაში ბრძოლა წინანდებურად ქალაქ ნანჩანის დასავლეთით სწარმოებს.

16 დეკემბერი (საკდესი).

ომი წყნარ ოკეანეში

ამერიკელთა ცნობები

ნიუ-იორკი, 16 დეკემბერი (საკდესი). სამხედრო სამინისტროს კომუნიკეში, რომელიც 15 დეკემბერს ვაშინგტონში გამოქვეყნდა, ნათქვამია: „ფილიპინები. გრძელდება მტრის საჰაერო ოპერაციები ლუსონის კუნძულზე. სადესანტო ოპერაციები გრძელდება ლუსონის კუნძულის ჩრდილოეთ და ჩრდილოეთ-დასავლეთ ნაწილებში და ლეგასპის მახლობლად. დანარჩენ რაიონებში არსებითი რამ არაფერი არ მომხდარა".

ნიუ-იორკი, 16 დეკემბერი (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების ფილიპინების შეიარაღებულ ძალთა 15 დეკემბრის კომუნიკეში ნათქვამია, რომ 14 დეკემბერს ამერიკის შეერთებული შტატების საჰაერო ძალებმა იერიში მიიტანეს მტერზე ლეგასპის რაიონში (ლუსონის კუნძული). სერიოზულად დაზიანდა მტრის 2 ტრანსპორტი. საომარი მოქმედების სხვა რაიონებში მდგომარეობა უცვლელია.

საზღვაო სარდლობის 16 დეკემბრის კომუნიკეში ნათქვამია, რომ იაპონიის თვითმფრინავების მიერ ფილიპინის კუნძულების უკანასკნელი დაბომბვის დროს არც გემები, არც საზღვაო ნაგებობანი არ დაზარალებულან.

მიდუეისა და უეიკის კუნძულებზე ამერიკელები განაგრძობენ იაპონელებისათვის წინააღმდეგობის გაწევას.

სხვა რაიონებში მნიშვნელოვანი რამ არაფერი არ მომხდარა.

ინგლისის ცნობები

ლონდონი, 16 დეკემბერი (საკდესი). ინგლისის სინგაპურის სარდლობის 15 დეკემბრის კომუნიკეში ნათქვამია, რომ იაპონიის ჯარებმა კედახში გამართული შეუპოვარი ბრძოლების შედეგად რამდენადმე შეავიწროეს ინგლისის ჯარები. იაპონელებს დიდი ზარალი მოუვიდათ. განსაკუთრებით გააფთრებული ბრძოლა სწარმოებს კედახის სამხრეთ ნაწილში. მდგომარეობა ჯერ კიდევ არ გამორკვეულა. ბრძოლა სწარმოებს აგრეთვე კელანტანეში. ინგლისის ჯარები პირისპირ შეხვდნენ მტერს კოტა ბარუს რაიონში.

ინგლისის ბირმის სარდლობის კომუნიკეში ნათქვამია, რომ იაპონიის ჯარების მოწოლის გამო ინგლისის მცირერიცხოვანმა გარნიზონმა უკან დაიხია დასახლებულ პუნქტ ვიქტორიიდან (ბირმისა და ტაის საზღვრების მახლობლად). უკანდახევა სარდლობის გეგმის თანახმად მოხდა. უკანდახევისას ყველა უმნიშვნელოვანესი ნაგებობანი დანგრეულ იქნა.

* * *

ლონდონი. რეიტერის სააგენტოს სამხედრო მიმომხილველი ანალისტი სწერს, რომ შორეულ აღმოსავლეთში წარმოებულ ომში ყველაზე დამახასიათებელი მოვლენა იყო ჰოლანდიის წყალქვეშა ნავების მიერ იაპონიის კიდევ ორი ტრანსპორტის ჩაძირვა. ჩინეთთან ომის მთელი ოთხწლიანი პერიოდის განმავლობაში იაპონელებს სრული შესაძლებლობა ჰქონდათ ევლოთ ზღვებში და არ შინებოდათ წყალქვეშა ნავებისა და საჰაერო თავდასხმებისა, თუმცა მათი საკომუნიკაციო ხაზები უმთავრესად საზღვაო იყო და, ამრიგად, მათ ასეთი საფრთხე ემუქრებოდათ. 48 საათის განმავლობაში ექვსი გემის დაღუპვა იაპონელებს აჩვენებს, თუ რამდენად საშიშია ახლანდელი ომი, რომელშიც ისინი ასე ნაჩქარევად ჩაებნენ.

ფილიპინებიდან მიღებული ცნობები უწინდელზე გაცილებით უფრო ხელსაყრელია. ამერიკელები აცხადებენ, რომ ისინი კონტროლს უწევენ მდგომარეობას. მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ ამ კუნძულების შედარებით სიახლოვეს იაპონიასთან, უნდა მოველოდეთ, რომ იაპონელები, ალბათ, ყველა ზომას მიმართავენ მათი დაპყრობისათვის.

ამჟამად იაპონელთა მთავარი დარტყმა, როგორც ჩანს, მიმართულია მალაიის წინააღმდეგ. ისინი აუცილებლად შეეცდებიან რაც შეიძლება მალე ჩაიგდონ ხელში ჰონკონგი ამ პუნქტში წარმატების მიღწევის მორალური მნიშვნელობის გამო. მაგრამ ჰონკონგის აღება შეიძლება გაცილებით უფრო ძნელი საქმე აღმოჩნდეს, ვიდრე ისინი ფიქრობდნენ, თუმცა ის გარემოება, რომ ჰონკონგში მრავალრიცხოვანი სამოქალაქო მოსახლეობაა, მას უფრო ადვილად საგნებს ხდის ბრიტანეთის იმპერიის ყველა სხვა ავანპოსტთან შედარებით. მალაიაში წარმოებულ ბრძოლებს უკანასკნელი 24 საათის განმავლობაში მდგომარეობის მნიშვნელოვანი ცვლილება არ მოჰყოლია. კედახსა და კელანტანზე შეტევა გრძელდება.

(მიღებულია რადიოთი საკრადიოკომიტეტის მიერ).

იაპონელთა ცნობები

ტოკიო, 15 დეკემბერი (საკდესი). იაპონელთა ცნობებით, ტაის ჯარებმა უკან დაახევინეს ინგლისისა და ჩინეთის ჯარების ნაწილებს, რომლებიც ჩრდილოეთის საზღვრით ციენრაის რაიონში შეიჭრნენ. ბრძოლა 11 დეკემბრის შუადღიდან სწარმოებდა. ინგლისისა და ჩინეთის ჯარებმა საზღვრის ხაზის გადაღმა დაიხიეს.

იაპონური პრესა იუწყება იაპონიის ჯარების მიერ კოულუნის დაკავებას და აღნიშნავს, რომ იაპონელთა პოზიციებიდან ჰონკონგი მოსჩანს. ინგლისის ჯარებს კოულუნის დასავლეთით მდებარე პოზიციებიდან უკან დაახევინეს. პრესა აღნიშნავს აგრეთვე, რომ ჰონკონგში მყოფ ინგლისელთა რეგულარული ჯარის რაოდენობა, სულ ცოტა, 5 ათას კაცს აღწევს.

ტოკიო, 16 დეკემბერი (საკდესი). დღეს გამოქვეყნებული ოფიციალური ცნობების თანახმად, იაპონიის ჯარებმა და საზღვაო ძალებმა, ამერიკის გარნიზონთან ბრძოლის შემდეგ, საბოლოოდ მოახდინეს გუამის კუნძულის ოკუპაცია. შემდეგ ცნობაში ნათქვამია, რომ, როგორც ჩანს, თავდაცვითი ნაგებობების მშენებლობა ჯერ კიდევ გრძელდებოდა, როდესაც იაპონიის ძალებმა კუნძულზე იერიშის მიტანა დაიწყეს.

იაპონიის ფორმოზის არმიის შტაბი იუწყება, რომ 13 დეკემბერს, ნაშუადღევს, მტრის ერთმა თუ ორმა მძვერამა თვითმფრინავმა დიდ სიმაღლეზე გაიარა ტაკაოს პროვინციის სანაპიროს გასწვრივ ფორმოზაზე. თვითმფრინავები ისე მიიმალნენ, რომ კუნძულთან ახლოს არ მოსულან. უნდა ველოდოთ, ნათქვამია ცნობაში, რომ მტრის თვითმფრინავებს შეუძლიათ დაბომბვა დაიწყონ, ამიტომ მთელი კუნძულის ტერიტორიაზე მიღებულ უნდა იქნას გამაფრთხილებელი ზომები.

ნოქსის განცხადება პირლ ჰარბორზე იაპონელთა თავდასხმის შედეგების შესახებ

ლონდონი, 16 დეკემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო ვაშინგტონიდან იუწყება, პრეს-კონფერენციაზე ნოქსმა მოიყვანა დაწვრილებითი ცნობები პირლ ჰარბორზე იაპონელთა თავდასხმის დროს ამერიკისათვის მიყენებული ზარალის შესახებ. ნოქსმა აღნიშნა, რომ სახაზო გემ „არიზონის" გარდა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაკარგეს ხუთი სხვა სამხედრო გემი—ძველი სამიზნო ხომალდი „უტაჰი", 3 საესკადრო ნაღმოსანი „კასინი", „დოუნსი" და „შოუ", აგრეთვე სანაღმო გადამღობი „ოგლალა". მოკლულია 2.729 ოფიცერი და მეზღვაური და დაჭრილია 656 კაცი.

შემდეგ ნოქსმა აღნიშნა, რომ სერიოზულად დაზიანდა სახაზო გემი „ოკლაჰომა", რომელიც გადაბრუნდა, მაგრამ მისი შეკეთება შეიძლება. „ოკლაჰომის" მშენებლობა 1914 წლის მარტში დაიწყო, მისი წყალწყვა უდრის 29 ათას ტონას, ხოლო პირადი შემადგენლობა ჩვეულებრივ დროს—1.300 კაცს.

ნოქსმა განაცხადა, რომ ჰავაის კუნძულებზე თავდასხმის დროს იაპონელებმა დაჰკარგეს 3 წყალქვეშა ნავი და 41 თვითმფრინავი. იაპონიის თვითმფრინავები, რომლებმაც წასვლა მოახერხეს, ოთხი მიმართულებით მიდიოდნენ, რათა ამით გაეფანტათ ამერიკის თვითმფრინავები, რომლებიც მათ მისდევდნენ. ნოქსის სიტყვით, სიმართლეს არ შეესაბამება ხმები იმის შესახებ, რომ ამერიკის სამხედრო-საზღვაო ფლოტი წინასწარ იყო გაფრთხილებული თავდასხმის შესახებ. მან მტკიცედ განაცხადა: „ამერიკის წყალქვეშა გემები მზად არ იყვნენ იმისათვის, რომ წინააღმდეგობა გაეწიათ ავიაციის მოულოდნელი თავდასხმისათვის". მთელი ვითარების გამოძიების მოლოდინში პრეზიდენტ რუზველტს ჯერჯერობით არავითარი ცვლილება არ მოუხდენია ამერიკის საკომანდო შემადგენლობაში.

შემდეგ ნოქსმა განაცხადა, რომ პირლ ჰარბორზე თავდასხმაში მონაწილეობას იღებდნენ იაპონიის წყალქვეშა ნავები, რომელთა ეკიპაჟები ორ-ორი კაცისაგან შესდგება. იაპონიის სამი წყალქვეშა ნავიდან, რომელთა დაღუპვის შესახებ ზუსტი ცნობები მოგვეპოვება, ერთი ნორმალური ზომისა იყო, მეორე და მესამე კი—მცირე ზომისანი. ერთი პატარა ნავი ხელთ იგდეს ამერიკელებმა იმ დროს, როდესაც იაპონელები პირლ ჰარბორს თავს დაესხნენ, იქ ავიოსანი არა ყოფილა. სახაზო გემი „არიზონა" რამდენიმე აფეთქების შედეგად დაიღუპა. პირველი აფეთქება მოხდა საქვაბე განყოფილებაში. შემდეგ კი—დენთის წინა სარდაფში.

ნოქსმა აღნიშნა, რომ ფლოტისათვის მიყენებული მატერიალური ზარალი გაცილებით ნაკლები აღმოჩნდა, ვიდრე ამას თავდაპირველად მოველოდი, მაგრამ მსხვერპლთა რიცხვმა გაცილებით გადააჭარბა ყველაზე ცუდ მოსაზრებებსაც კი. ნოქსის სიტყვით, მოკლულთა დიდი რიცხვი, დაჭრილთა რიცხვთან შედარებით, იმით აიხსნება, რომ ზოგიერთი გემი გადაბრუნდა.

მე ვფიქრობ, სთქვა ნოქსმა, ომის მთელი დროის განმავლობაში „მეხუთე კოლონას" არასოდეს არ უმუშავნია ისე ეფექტურად, როგორც ჰავაის კუნძულებზე, შესაძლოა, გარდა ნორვეგიისა. ამჟამად ზომებს ვიღებთ იმისათვის, რომ აღმოვაჩინოთ ამ კოლონის წევრები და ისე მოვეპყროთ მათ, როგორც ეკადრებათ.

ნოქსმა ხაზგასმით აღნიშნა, ჰავაის კუნძულების მოსახლეობის მორალური განწყობილება საუცხოვოაო.

შეეხო რა პირლ ჰარბორზე მომხდარი თავდასხმის მთელ რიგ დაწვრილებით ამბებს, ნოქსმა მაღალი შეფასება მისცა საზღვაო ფლოტის პირადი შემადგენლობის სიმამაცეს. პირველი განგაშის გამოცხადებიდან 4 წუთზე ნაკლები დროის შემდეგ სროლა დაიწყეს საზღვაო ფლოტის უზარმაზარმა ქვემეხებმა და ამ დროიდან ერთი წამის შემდეგ ჩამოგდებულ იქნა იაპონიის პირველი თვითმფრინავი. ამ დღის გამოჩენილი გმირი იყო ამერიკის სახაზო გემის კაპიტანი, რომელიც თავის გემთან ერთად დაიღუპა. მიუხედავად იმისა, რომ კაპიტანი მძიმედ დაჭრილი იყო, იგი თავის პოსტზე რჩებოდა და არავის მისცა იმის ნება, რომ გადაეყვანათ იგი უშიშარ ადგილას. კაპიტნის ბოგირიდან, რომელიც ცეცხლის ალში იყო გახვეული, იგი განაგრძობდა საომარი მოქმედების ხელმძღვანელობას.

თავდასხმის დაწყების მომენტიდანვე ჰაერში არა ყოფილან ამერიკის არმიისა და ფლოტის თვითმფრინავები, თუ მხედველობაში არ მივიღებთ საზღვაო ფლოტის ჩვეულებრივ საპატრულო თვითმფრინავებს, რომლებიც თავიანთი ფუნქციების ასრულებას ყოველ დღე გათენებისას იწყებენ. საზღვაო ავიაცია არ ეწეოდა პატრულირებას ღამით, რადგან ეს მას ეფექტურად არ მიაჩნდა. ნოქსმა აღნიშნა, რომ ყოველგვარი მოულოდნელობისაგან კუნძულის დასაცავად საჭირო იქნებოდა 300 საპატრულო თვითმფრინავი. შემდეგ ნოქსმა მოსაზრება გამოთქვა, რომ პირლ ჰარბორზე თავდასხმაში მონაწილეობას იღებდა 150-დან 300-მდე თვითმფრინავი. ასეთი რაოდენობის თვითმფრინავებს არ შეეძლოთ ემოქმედნათ ერთი ავიოსნიდან. იერიში, როგორც ჩანს, მიტანილი იყო მხოლოდდამხოლოდ ერთმოტორიანი თვითმფრინავებით და არცერთ მათგანს არა ჰქონია ბაზა ხმელეთზე.

ნოქსმა აღნიშნა, რომ პირლ ჰარბორში მშრალი დოკები, აგრეთვე ნავთსაცავები და საზღვაო ბაზის მნიშვნელოვანი ნაგებობანი ხელუხლებელი დარჩნენ.

ნოქსის სიტყვით, „არიზონა" იმის შედეგად დაიღუპა, რომ მას განსაკუთრებით მარჯვედ მოხვდა ბომბები. (გემი „არიზონა" აშენებულია 1915 წელს და ჩვეულებრივ დროს მისი ეკიპაჟი 1.358 კაცისაგან შესდგებოდა. მისი წყალწყვა 32.600 ტონას უდრიდა).

ნოქსმა აგრეთვე აღნიშნა, რომ არმიის ავიაციის ზარალი ძალიან დიდია. მოსპობილ იქნა რამდენიმე ანგარი. მაგრამ ჰავაის კუნძულებზე სწრაფად მიდიან მაშველი ძალები. იაპონელებმა განსაკუთრებით გააფთრებული თავდასხმა მოახდინეს საესკადრო ნაღმოსან „უტაჰზე", ვინაიდან მათ ეგონათ, ავიოსანს ვბომბავთო.

დასასრულ ნოქსმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამერიკის წყნარი ოკეანის ფლოტი მთლიანად თავისი სახაზო გემებით, ავიოსნებით, მძიმე და მსუბუქი კრეისერებით, საესკადრო ნაღმოსნებითა და წყალქვეშა ნავებითურთ ხელუხლებელი დარჩა და ყველა ეს გემი იმყოფება გაშლილ ზღვაში, სადაც მტერს ეძებენ. იაპონელებმა, სთქვა მან, ვერ შესძლეს თავიანთი მიზნის მიღწევა—ჯერ კიდევ ომის დასაწყისში გამოეყვანათ მწყობრიდან ამერიკის შეერთებული შტატები.

ამერიკის სენატის გადაწყვეტილებანი

ნიუ-იორკი, 15 დეკემბერი (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სენატმა მოიწონა კანონპროექტი იმის შესახებ, რომ ომის საჭიროებისათვის დამატებით ასიგნებულ იქნას 10,5 მილიარდი დოლარი, აქედან 7.376 მილიონი დოლარი—არმიის საჭიროებისათვის. უკანასკნელი თანხა შეიცავს დამატებითს ასიგნობას საჰურვლის სესხად ან იჯარით გადაცემის კანონის განსახორციელებლად.

ამავე დროს სენატმა გააუქმა დღემდე არსებული შეზღუდვა, რომელიც ითვალისწინებდა, რომ არმიაში გასაწვევ პირთა რაოდენობა ერთსა და იმავე დროს 900 ათას კაცზე მეტი არ ყოფილიყო.

წარმომადგენელთა პალატამ ანალოგიური კანონპროექტი ცოტათი უფრო ადრე მოიწონა.

„გაგრძელება იქნება" მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში. სურათზე მსახიობები როლებში — ვ. არეშიძე (პროფ. ვედელი), თ. თვალიაშვილი (კონი) და გ. აბაშიძე (გუსტი).
ფოტო ვ. გინზბურგისა.

„გაგრძელება იქნება" მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში

ა. ბრუშტეინის ანტიფაშისტური პიესა „გაგრძელება იქნება" მოგვითხრობს ფაშისტების მძვინვარების პირველ ნაბიჯებზე გერმანიაში. ავტორი დიდი ოსტატობით გვიჩვენებს გერმანიის მშრომელთა საშინელ მდგომარეობას და ჰიტლერელთა მძვინვარებას, რამაც უმაღლეს წერტილს მიაღწია მეორე იმპერიალისტური ომის დროს. მოზარდ მაყურებელთა თეატრი კარგად მოიქცა, რომ ჩვენს ნორჩ მაყურებელს მორიგ პრემიერად უჩვენა ეს საინტერესო პიესა.

პიესა თეატრში შემოკლებული ვარიანტით მიდის, სავსებით ამოღებულია არჩევნების სცენა, შეკვეცილია კეტხენის როლი, ზოგიერთი ადგილები გადაკეთებულია. ამან თუმცა დასწია პიესის ზეგავლენითი ძალა, მაგრამ სპექტაკლი მაინც დიდ შთაბეჭდილებას სტოვებს მაყურებელზე.

პიესა დასდგა რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ა. თაყაიშვილმა, მუსიკა ეკუთვნის ო. ბარამიშვილს, მხატვრობა—ნ. ყაზბეგს. მთავარ როლებს ასრულებენ: ა. კაჭკაჭიშვილი (მოზესი), თ. კეჟერაძე (ფრიდლი), ა. ღვინიაშვილი (კატრინა), ა. ქერეჟაშვილი (მაქსი), ი. შახელი (ბოლდი), თ. თვალიაშვილი (კონი), მ. ერგნელი (დეიდა კუფ), გ. აბაშიძე (გუსტი), ს. გამრეკელი (ტრენჩკე), ვ. არეშიძე (ვედელი), გ. კუპრაშვილი (ბრუნო), დ. ცხაკაია (მოიერიშე), ი. ბერიაშვილი (რუდი), დ. ძნელაძე (ზელმა) და სხვ.

შემსრულებელთაგან უნდა გამოვყოთ თ. თვალიაშვილი, რომელმაც დიდი ბუნებრიობით განასახიერა პატარა გოგონას როლი. საინტერესოდ არის გადაჭრილი ვ. არეშიძის მიერ პროფ. ვედელის როლი. დასამახსოვრებელი სახეები შექმნეს ა. ქერეჟაშვილმა, გ. კუპრაშვილმა, ს. გამრეკელმა, გ. აბაშიძემ, ა. კაჭკაჭიშვილმა. დ. ცხაკაიას მოიერიშე კარგია, მაგრამ გერმანული სიტყვების ხშირად ხმარება უადგილო ადგილას იწვევს სიცილს. თ. კეჟერაძის ფრიდლი ცივია, ჩვენ მეტს ველოდით ამ მსახიობისაგან. მხატვარს უნდა შევნიშნოთ, რომ პავილიონები მოხერხებულად არ არის გაკეთებული.

სპექტაკლი მთლიანად კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს და დამსახურებული წარმატებით სარგებლობს. მაყურებლებმა პრემიერაზე მთელ კოლექტივსა და დამდგმელს მხურვალე ოვაციები გაუმართეს.

ვრ. ნუცუბიძე

მესამე ხუთწლედის სახელმწიფო სესხი

(პირველი წლის გამოშვება)

წაუგებელი გამოშვება

მოგებათა მეთორმეტე ტირაჟის ხაცნობთ ცხრილი

სერიების №№	ობლიგაციების №№	მოგების რაოდენობა მანეთობით	სერიების №№	ობლიგაციების №№	მოგების რაოდენობა მანეთობით	სერიების №№	ობლიგაციების №№	მოგების რაოდენობა მანეთობით	სერიების №№	ობლიგაციების №№	მოგების რაოდენობა მანეთობით
40179	1—50	200	45798	26*)	500	50819	1—50	200	55782	1—50	150
40408	1—50	150	45847	1—50	200	50820	1—50	150	55820	1—50	150
40415	49*)	500	45971	1—50	150	50860	1—50	150	55951	05*)	500
40507	38*)	500	46007	47*)	3.000	50949	40*)	500	55997	1—50	150
40858	1—50	200	46013	1—50	150	51457	05*)	500	56009	17*)	500
40912	04*)	500	46053	1—50	150	51489	1—50	150	56340	1—50	150
40923	1—50	150	46072	1—50	150	51637	1—50	200	56394	1—50	150
41028	1—50	150	46260	1—50	150	51643	1—50	150	56422	1—50	150
41232	1—50	150	46347	1—50	150	51700	1—50	150	56571	1—50	150
41317	1—50	150	46365	1—50	150	51847	1—50	150	56744	1—50	200
42069	1—50	150	46531	17*)	500	51860	1—50	150	56843	49*)	500
42440	1—50	150	46660	1—50	150	51908	1—50	150	56882	1—50	150
42507	1—50	200	46908	27*)	500	52123	10*)	500	57074	18*)	500
42594	05*)	1.000	47035	1—50	150	52192	1—50	150	57152	1—50	200
42923	1—50	200	47263	19*)	500	52200	1—50	150	57263	1—50	150
42992	1—50	150	47379	1—50	150	52323	1—50	200	57322	1—50	150
43030	1—50	150	47410	1—50	150	52495	36*)	500	57353	1—50	150
43076	1—50	150	47518	50*)	1.000	52514	20*)	500	57483	1—50	150
43221	1—50	150	47549	1—50	200	52626	1—50	150	57574	1—50	150
43255	30*)	500	47606	1—50	150	52893	1—50	200	57622	18*)	500
43347	05*)	500	47709	43*)	500	53266	1—50	150	57671	1—50	200
43452	20*)	500	47900	1—50	200	53270	1—50	150	57874	02*)	500
43531	38*)	500	48423	05*)	500	53383	18*)	500	57877	1—50	150
43559	1—50	150	48545	1—50	150	53584	1—50	150	57893	1—50	200
43798	1—50	150	48557	04*)	500	53609	40*)	500	58105	49*)	1.000
43853	1—50	150	48648	1—50	150	53692	1—50	150	58248	40*)	500
43935	1—50	150	48734	15*)	500	54010	1—50	200	58256	42*)	1.000
44241	1—50	200	48746	1—50	200	54238	02*)	500	58745	1—50	150
44332	1—50	150	48775	1—50	200	54369	1—50	150	58802	1—50	150
44341	1—50	150	49000	1—50	150	54396	10*)	500	58902	1—50	150
44512	1—50	150	49099	1—50	200	54544	1—50	150	58958	42*)	500
44654	01*)	500	49125	10*)	500	54609	30*)	500	59138	17*)	500
44777	28*)	500	49189	1—50	150	54779	07*)	500	59141	1—50	150
44912	1—50	150	49331	12*)	1.000	54851	1—50	150	59161	1—50	200
44967	1—50	150	49520	17*)	500	54898	1—50	150	59290	18*)	500
45096	36*)	500	49862	05*)	500	54943	1—50	150	59306	1—50	200
45196	1—50	150	49879	1—50	150	55009	1—50	150	59393	50*)	500
45329	1—50	150	49880	1—50	150	55081	32*)	500	59478	1—50	150
45448	34*)	500	50366	1—50	200	55113	1—50	150	59633	1—50	150
45527	1—50	150	50457	21*)	500	55322	1—50	200	59690	1—50	150
45588	48*)	500	50559	01*)	500						
45713	1—50	200	50612	1—50	150	55485	1—50	150	59919	1—50	150
45737	1—50	150	50666	1—50	200	55682	47*)	500	59981	27*)	500

*) ამ სერიის ობლიგაციების დანარჩენ 49 ნომერს ხვდა 150 მანეთის მოგება თვითეულს.

ლექციები და მოხსენებები

18 დეკემბერს, საღამოს 9 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საქალაქო აგიტპუნქტის სალექციო დარბაზში (ლ. კეცხოველის სახელობის პარტიული პროპაგანდის სახლი) შესდგება ამხ. **სულეიმანის** მოხსენება რუსულ ენაზე. თემა: **„საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი"**.

ბილეთების მიღება შეიძლება საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საქალაქო აგიტპუნქტის ბიბლიოთეკაში.

18 დეკემბერს, საღამოს 8½ საათზე, საქ. კ. პ. (ბ) ორჯონიკიძის რაიკომის საagitაციო პუნქტის დარბაზში (ლენინის ქ. № 11) შესდგება ამხ. ცაგარეიშვილის ლექცია ქართულ ენაზე. თემა: **„დიდი სტალინი—წითელი არმიის გენიალური მხედართმთავარი"**.

შესვლა თავისუფალია.

18 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის საagitაციო პუნქტის დარბაზში (საბჭოთა ქ. № 134) შესდგება ამხ. კარაბინოვას ლექცია რუსულ ენაზე: **„საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში ამხანაგ სტალინის რევოლუციური მოღვაწეობის შესახებ"**.

შესვლა თავისუფალია.

19 დეკემბერს, საღამოს 9 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საქალაქო საagitაციო პუნქტის სალექციო დარბაზში (ლ. კეცხოველის სახელობის პარტიული პროპაგანდის სახლი) შესდგება ამხ. **ხუციშვილის** მოხსენება რუსულ ენაზე. თემა: **„დიდი რუსი მხედართმთავარი სუვოროვი"**.

ბილეთების შეძენა შეიძლება საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საქალაქო აგიტპუნქტის ბიბლიოთეკაში.

ჯგუფური კონსულტაცია

19 დეკემბერს, საღამოს 9 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საქალაქო საagitაციო პუნქტის სალექციო დარბაზში (ლ. კეცხოველის სახელობის პარტიული პროპაგანდის სახლი) შესდგება ამხ. **ჩოჩიას** ჯგუფური კონსულტაცია ქართულ ენაზე. თემა: „როგორ მოვაწყოთ პოლიტიკური აგიტაცია საწარმოში".

თეატრებში

სახოპერა — 18 დეკემბერს — „მეფის საცოლე", **რუსთაველის სახელობის** — „კოკვიძე", 19 დეკემბერს — „პროფესორი მამლოკი", 21 დეკემბერს **დღის წარმოდგენა** — „კოკვიძე". **მარჯანიშვილის სახელობის** — 18 დეკემბერს — „მკაცრი ქალიშვილები", 19 დეკემბერს — „მარგარიტა გოტიე". 21 დეკემბერს **დღის წარმოდგენა** — „მკაცრი ქალიშვილები", **სანკულტურის** — 18 დეკემბერს — ერთმოქმედებიანი პიესების საღამო. **მუსიკალური კომედიის** —18 დეკემბერს—„აყვავებული ბაღი".

დღეს კინოებში

რუსთაველის სახ.—„ჯარისკაცი ფრონტიდან ბრუნდებოდა", ოქტომბერი — „ახალი ცხოვრებისაკენ", დამკვრელი — „დაკარგული სამოთხე", სპარტაკი — „გამანადგურებლები", ლუქსემბურგის სახ. „მუსიკალური ისტორია", კომინტერნი — „მეოთხე პერისკოპი", 26 კომ. სახ. — „საბრძოლო კინოკრებული № 5", მეცნიერება და ცოდნა — „ბრძოლა გრძელდება".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

პერსონალურ და აკადემიურ პენსიონერთა საყურადღებოდ

ა. წ. 20 დეკემბერს, დღის სრულ 5 საათზე და 30 წუთზე, პიონერთა სასახლეში (რუსთაველის პროსპ., № 2) მოწვეულია რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალურ და აკადემიურ პენსიონერთა საერთო კრება.

ყველას ვთხოვთ დაესწრონ კრებას.

სსსრ სოციალურუზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი.

რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს უროლოგიური განყოფილება იუწყება **ბიქენტი ბეჟანის-ძე ფირცხალაიშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ლანჩხუთში 18/XII 5 ს. 12606

თბილისის ალმასკომის ადგილობრივი მრეწველობის კირის ქარხნის ადგილკომი იუწყება **ალექსი ივლიანეს-ძე ცხომელიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 18/XII 6 ს. გამოსვენება შიო მღვიმელის, 15. 12607

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა, № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის—3—62—26; პ/მგ რედაქტორის მოადგილისა—3—63—03; პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67; პ/მგ მდივნის მოადგილისა—3—06—88; განყოფილებებისა: პარტიული და პროპაგანდის—3—81—84; სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო-სატრანსპორტო—3—80—83; ლიტერატურისა და ხელოვნების, განათლება-ჯანმრთელობის და ინფორმაციის—3—80—84; სამხედროსი—3—57—61; წერილებისა—3—73—24; პ/მგ მორიგისა და გამომშვებისი—3—81—65; გამომცემლობისა—3—51—81; სტამბის დირექტორის — 3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 28.

უე 41465